CYAN BLACK

„ბრიტიშ პეტროლიუმი“ გააგრძელებს ყველა იმ პროექტს, რომელსაც გულისხმობს ტრასეკას მარშრუტი, კერძოდ, სამხრეთკავკასიური გაზსადენისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას

გუშინ

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის თავმჯდომარეობით 28 ნოემბერს გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე სამართალდაცვის უწყებათა ხელმძღვანელებმა — სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ, გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ და შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს მიაწოდეს ინფორმაცია მათს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე ყურადღება მიაპყრეს საქართველოს პრეზიდენტის მომავალი რიგგარეშე არჩევნების სამართლიანად და ობიექტურად გამართვის აუცილებლობასა და მის უზრუნველსაყოფად ამომრჩეველთა ზუსტი სიების დადგენას. ამ კონკრეტული საკითხის მოგვარება და მასზე კონტროლი ნინო ბურჯანაძემ ახალ შინაგან საქმეთა მინისტრს დაავალა.

ნინო ბურჯანაძემ უშიშროების საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ, ერთმნიშვნელოვნად განუცხადა, რომ საჭიროა ზრუნვა სახელმწიფოში ყოველმხრივ სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის და ძალოვან უწყებათა ხელმძღვანელებს კონკრეტული დავალებები მისცა.

საქინფორმი.

დერეფანი

საქართველო ბოლომდე შეასრულებს თავის ვალდებულებებს

28 ნოემბერს ქვეყნის ახალი ხელისუფლების ლიდერებმა - საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ, სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღეს „ბრიტიშ პეტროლიუმის“ აზერბაიჯანის კომპანიის პრეზიდენტი დევიდ ვუდვორდი.

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ „ბრიტიშ პეტროლიუმი“ გააგრძელებს ყველა იმ პროექტს, რომელსაც გულისხმობს ტრასეკას მარშრუტი, კერძოდ, სამხრეთ-კავკასიური გაზსადენისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას. როგორც შეხვედრებზე ითქვა, საუკუნის ეს პროექტები უთუოდ შეიტანს დიდ წვლილს სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

დევიდ ვუდვორდის განცხადებით, მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული, ყველაფერი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. წლის დამლევს პირველი ნავთობი გაივლის მილსადენში. „ჩვენთვის ძალზე სასიამოვნოა, რომ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ პროექტებს. ჩვენ მათგან გარანტიები მივიღეთ, ეს კი ნიშნავს, რომ პროექტების მშენებლობა ჩვეულებრივი რეჟიმით გაგრძელდება“, - აღნიშნა დევიდ ვუდვორდმა.

როგორც ახალი ხელისუფლების ლიდერებმა განაცხადეს, საქართველო ბოლომდე შეასრულებს წინანდელ ვალდებულებებს, რომელიც მან იკისრა აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის ამ უდიდესი მნიშვნელობის შემადგენელი ნაწილის მშენებლობის წარმატებით დასრულებისათვის. შესაბამისად, პროექტების განხორციელებას წინ არაფერი ეღობება.

საქინფორმი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

შპს „საქართველოს რკინიგზა“

The Georgian Railway Ltd

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №322 (4701) შაბათი, 29 ნოემბერი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

სულიერება

ახალი ხელისუფლების უპირველესი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს

28 ნოემბერს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II შეხვდა. ნინო ბურჯანაძემ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა.

კათალიკოს-პატრიარქმა ილია II მადლობა გადაუხადა ყველას იმის გამო, რომ ქვეყანაში სისხლი არ დაიღვარა. მისი განცხადებით, ახალი ხელისუფლების უპირველესი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს.

„ყველაფერი ხდება ღვთის განგებით, ღვთის ნებით და ჩვენ მადლობა უნდა შევწიროთ უფალს, რომ ყველაფერი მოხდა უსისხლოდ. ვფიქრობ, საქართველოში დამყარდება მშვიდობა და გამთლიანდება იგი. ღმერთმა ინებოს“,— განაცხადა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II.

როგორც ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, იგი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ მშვიდობა, სტაბილურობა და სამართლიანობა აღდგეს და ქვეყანაში მშვიდობა დამყარდეს.

საქინფორმი.

კანონმდებლები

პარლამენტის რიგგარეშე სხდომა

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომამ მუშაობა 28 ნოემბერს გააგრძელა. სხდომა ადრე მიღწეული შეთანხმებისამებრ 14 საათზე გაიხსნა და მას პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი წერეთელი უძღვებოდა.

დეპუტატმა დიმიტრი ჯაიანმა განაცხადა, რომ გაისმის მუქარის ზარები, არის ადამიანების შევიწროვების, უნივერსიტეტებში შევარდნის და სხვა ფაქტები. მან დროებითი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდა ნუ უგულებელყოფენ იმას, რისთვისაც აკრიტიკებდნენ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და მის მომხრეებს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ სოსელიამ რატიფიცირებისათვის წარმოადგინა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის 2003 წლის 18 ნოემბერს ხელმოწერილი შეთანხმება ფინანსური თანამშრომლობის შესახებ (საგანგებო თანხმობა მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად). ეს შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშეწყობას. კერძოდ, საქართველო მიიღებს 2,5 მილიონი ევროს დახმარებას პროექტისათვის — „სკოლების, საავადმყოფოებისა და ლტოლვილთა საცხოვრებლების რეაბილიტაცია (მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარება)“. ამ თანხების განკარგვა და ათვისება საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, შეთანხმების რატიფიკაციის მეორე დღესვე დაიწყება. დეპუტატების მოთხოვნის საფუძველზე პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს დაევალა განახორციელოს მონიტორინგი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე.

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდენ!

სანდრო პავლიაშვილი კასპიდან

24 ნოემბერს სხვა ახალშობილებს შორის ჩემი ძმისწულიც დაიბადა, მშობლების გოგა პავლიაშვილისა და თეონა ნადარაიას მეორე შვილი. პატარას სანდრო დაარქვეს, ჩვენი დიდი პაპის სახელი. დედა და შვილი თავს კარგად გრძნობენ. ხვალ სამშობიარო სახლიდან გამოწერენ, სადაც მათ ჩვენთან ერთად მოუთმენლად ელის ოთხი წლის მაგდანა.

მეორე შვილს ვულოცავ გოგას და თეონას. ულევ სიხარულსა და ბედნიერებას ვუსურვებს.

მაია პავლიაშვილი,
კასპი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

პოზიცია

ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოსაფხვრელად სერიოზული მუშაობა დაიწყება

კვლავ საარჩევნო ციებ-ცხელებაა საქართველოში. ახალი, დემოკრატიული ხელისუფლება ცდილობს ამ საპასუხისმგებლო კამპანიას უფრო სამართლიანი ელფერი მიანიჭოს. უნდა ვთქვათ, რომ დღეს არჩევნები წინა პლანზეა გადმოწეული სხვა საკითხებთან შედარებით და ეს მართებულიც არის. თუმცა, ხელისუფლება არანაკლებ თავსატეხს უზენს სახელმწიფო ბიუჯეტის პრობლემებს.

ნელ-ნელა ცხრება „რევოლუციური“ ეიფორია. ეს იგრძნობა პარლამენტშიც. მთავრობაში ახლად მოსული გუნდი ახალგაზრდაა, გაბედული და ენერგიული. ამასთან, გარკვეული პროფესიული გამოცდილების მქონეც.

საინტერესოა, როგორია მათი თვალით დანახული დღევანდელობა. როგორ აპირებენ მუშაობის დაწყებას. სწორედ ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ წარმომადგენელი მიხეილ მაჭავარიანი.

— ჩვენ არ ვღალატობთ პარიტეტულ პრინციპებს. ცსკო-ში არ უნდა წყდებოდეს საკითხები ძალით და უმრავლესობით. პირიქით, უნდა წყდებოდეს სამართლიანად. ამიტომ ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ ერთი პოლიტიკური გუნდის ნაცვლად მეორე გუნდმა არ შექმნას უმრავლესობა და ის აღარ გავაკეთოთ, რასაც აქამდე ვაკეთებდით... პირიქით, ცსკო უნდა იყოს პარიტეტული და არა პოლიტიკური იარაღი სახელისუფლებო, ან სხვა რომელიმე ძალის ხელში. ამიტომ ჩვენ კომპრომისზე უნდა წავიდეთ.

იხ. მე-2 გვ.

ენერგეტიკა

უდიდესი რეზერვი, რომელიც გონივრულად უნდა გამოვიყენოთ

ამ პროექტების განხორციელება ქვეყანას უდიდეს სიკეთეს მოუტანს

საქართველო რომ თავისი ჰიდროენერგორესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი. ჩვენი მდინარეები უზარმაზარ ჰიდრავლიკურ ენერგიას შეიცავენ, რომელიც გაცილებით აჭარბებს იმ მოთხოვნილებას, ქვეყანას საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად რომ სჭირდება, ან მომავალში დასჭირდება.

პირდაპირ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ჰიდრავლიკური ენერგია გარკვეულწილად ქვეყნის სათბობი ნედლეულის დეფიციტსაც ავსებს.

მთლიანად საქართველოში 26 ათასი მდინარეა აღრიცხული. მათი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი უშუალოდაა დაკავშირებული რელიეფთან. კავკასიონის ქედიდან გამომდინარე წყლის ნაკადები მოკლე მანძილებზე მკვეთრი ვარდნის გამო ჰიდროენერგიის მძლავრ მარაგებს ქმნის.

იხ. მე-3 გვ.



ინფორმაცია

შობის მარხვა დაიწყო

როგორც „ინტერ-პრესს“ საქართველოს საპატრიარქოს პრეს-სამსახურის უფროსმა მამა დავით შარაშენიძემ განუცხადა, მარხვა 40 დღეს გასტანს და 7 იანვარს დასრულდება. მარხვის პირველი კვირა თევზით იქნება ხსნილი. კვირას კი, სიონის საკათედრო ტაძარში, წირვის დასრულების შემდეგ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II თავის ქადაგებაში განმარტავს, როგორ უნდა დაიცვას ერმა შობის მარხვა.

ღმერთმა ნუ ქნასო

თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის ბათუმში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია დღეს შინაგან საქმეთა მინისტრმა გია ბარამიძემ დაადასტურა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, დავით თევზაძე აჭარაში სამხედრო ნაწილების მონახულების მიზნით არის წასული.

„ბოლო პერიოდში თავდაცვის მინისტრი ხშირად დადის რეგიონებში სამხედრო ნაწილების მოსანახულებლად. ბათუმი საქართველოს ნაწილია და, ღმერთმა ნუ ქნას, მას იქ არ ჩაესვლებოდეს“, — აღნიშნა ბარამიძემ.

„თეთრი გიორგის კავშირი“ დაიშალა

2003 წლის 27 ნოემბერს „თეთრი გიორგის კავშირის“ კრებამ კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება თვითლიკვიდაციის შესახებ.

„თბილისობა ამერიკულად“

დღეს ნიუ-იორკში გრანდიოზული ღონისძიება — „თბილისობა ამერიკულად“ გაიმართება, რომელშიც ქართული ესტრადის ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას.

ღონისძიებაში მონაწილეობისათვის, რომელიც ფეშენებელურ გემზე გაიმართება, თბილისიდან ნიუ-იორკში კომპოზიტორები ოთარ ტატიშვილი, ნუნუ გაბუნია, მომღერლები თამუნა ამონაშვილი და ქეთა თოფურია, გაემგზავრნენ. მათ ამერიკაში მცხოვრები ქართველი შემოქმედები შეუერთდებიან.

„თბილისობაზე“ ტრადიციული ქართული კერძების დეგუსტაცია და სუვენირების გამოფენა-გაყიდვა მოეწყობა.

ქართველმა მომღერლებმა ნიუ-იორკში ჩასვლამდე ამსტერდამიც მოინახულეს. თბილისში ისინი 2 დეკემბერს დაბრუნდებიან.

განხეთქილებაზე საუბარი პროვოკაციაა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს „რევოლუციონერ ოპოზიციონერთა“ შორის განხეთქილება მოხდა. სააკაშვილის აზრით, აღნიშნული დეზინფორმაციის გავრცელება „გამიზნული პროვოკაციაა“.

„ხელისუფლება გამუდმებით არწმუნებდა მოსახლეობას, რომ შევარდნაძის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთს დაერევიან, თუმცა ეს ასე არ მოხდა“, — განუცხადა გუშინ სააკაშვილმა ჟურნალისტებს. მისი თქმით, ის ფაქტი, რომ მინისტრების პოსტებზე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არ ინიშნებიან, მათსა და „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ შორის განხეთქილებად არ უნდა ჩაითვალოს.

სააკაშვილის განმარტებით, იგი საქართველოს დროებითი მთავრობის მიერ განხორციელებულ საკადრო პოლიტიკაში არ ერევა, თუმცა ახალი კადრების დაკომპლექტებაში მონაწილეობას გაპრეზიდენტების შემდეგ დაიწყებს.

შეწყდება, მაგრამ ვერ იგრძნობთ

რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ 500-კილოვოლტიან ქსელზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო დღეს 18 საათამდე რუსეთიდან საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდება. თუმცა სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის მიუხედავად, ხვალ თბილისი ელექტრომომარაგებაში შეფერხებებს ვერ იგრძნობს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: ინტერ-პრესმა, ჩვენმა კორესპონდენტმა.

კარგი ანეკდოტი

შეფი მენეჯერს:
— თქვენ გათავისუფლებული ხართ!
— გათავისუფლებული?! უცნაურია. დღემდე მეგონა, რომ მონებს ყიდიან...

შეხვედრა

მიხეილ სააკაშვილი — ტექნიკურ უნივერსიტეტში

ჩანართი „აღმშენებელი“

იხ. მე-5 გვ.

ამინდი დღეს

თბილისი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +3, დღისით +8
ბათუმი	— ცვალ. მოღრ.	ღამით +5, დღისით +16
სოხუმი	— ცვალ. მოღრ.	ღამით +5, დღისით +13
ფოთი	— ცვალ. მოღრ.	ღამით +4, დღისით +14
ქუთაისი	— ცვალ. მოღრ.	ღამით +2, დღისით +12
გორი	— ცვალ. მოღრ.	ღამით +2, დღისით +10
თელავი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +2, დღისით +8

ლარის კურსი

28 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.7002	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1650	ლარი
ევრო	1	2.5770	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0728	ლარი.

უკანასკნელ საათს

პოლონელთა ორი მესამედი ერაყში თავიანთი ჯარისკაცების ყოფნის წინააღმდეგია

ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, პოლონელთა თითქმის 65 პროცენტი მოითხოვს, რომ პოლონელი ჯარისკაცები მონაწილეობას არ იღებდნენ ერაყში სიტუაციის სტაბილიზაციის მისიაში. ოქტომბერში ასეთი პოზიცია ეჭირა მოსახლეობის 57 პროცენტს.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ 83 წლის, ვითვლები სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულად და ვიღებ პენსიას თვეში 35 ლარის ოდენობით.

გთხოვთ განმიმარტოთ, როგორც სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულს რა შეღავათები მეკუთვნის ელექტროენერგიის მოხმარებისას.

ვერაპ გეგეჭკორი.

— გაცნობებთ, რომ ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს ელექტროენერგიის უფასო მოხმარება, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეუღავათ ზამთრის სეზონზე (ნოემბრიდან მარტის ჩათვლით) — 125 კვტ.სთ-ის ოდენობით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით) — 75 კვტ.სთ-ის ოდენობით.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

ინდოელი საჭურისები იბრძვიან რეგიონალურ პარლამენტში თავიანთი ადგილებისთვის

საჭურისთა თემის 100-ზე მეტმა წარმომადგენელმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის არჩევნებში.

ახალ ზელანდიაში სანტა-კლაუსებს აუკრძალეს მუხლებზე ბავშვების დასმა

ეს ზომები სრულიად გამორიცხავს სანტა-კლაუსთა მხრიდან სექსუალურ ხელყოფას მცირეწლოვანთა მიმართ. ახალი წესისა და რიგის მიხედვით ბავშვები გვერდით უნდა უსხდნენ სანტა-კლაუსებს, როცა ისინი თავიანთ საშობაო სურვილებს გამოთქვამენ.

ცხრა წამყვანმა გერმანულმა გაზეთმა გადაწყვიტა გერმანიაში ცენზურის გაუქმება

ლაპარაკია გერმანიაში ინტერვიუს „ავტორიზაციის“ პრაქტიკაზე. იქ მიღებულია, რომ ინტერვიუს მიმცემმა პუბლიკაციის წინ შეამოწმოს და ჩაასწოროს თავისი გამონათქვამები.

შვედეთის ტყეებში ნეონაცისტები შეიარაღებული აჯანყებისთვის ემზადებიან

ნეონაცისტებს აქვთ ცეცხლსასროლი იარაღი, რეზინის კეტები, ცრემლსადენგაზიანი ყუმბარები, ძალაყინები და კომპიუტერები ინტერნეტსერვისებით, რომელთა გვერდზეა ინფორმაცია საველე-სამხედრო სწავლებაზე.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 322. შაბათი, 29 ნოემბერი, 2003 წელი

განცხადება

ნინო ბურჯანაძე სავიზო რეჟიმის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ „საქართველოს მიმართ რუსეთმა ან მთლიანად უნდა გააუქმოს სავიზო რეჟიმი, ან ერთნაირი რეჟიმი დააწესოს საქართველოს ყველა რეგიონისათვის". მან თქვა, რომ „თუ სავიზო რეჟიმი [illegible] საქართველოს ერთი რეგიონისათვის, მაშინ იგი ასეთივე უნდა იყოს ქვეყნის ყველა რეგიონისათვის, ხოლო თუ სავიზო რეჟიმი მკაცრი იქნება, ასეთივე უნდა იყოს ქვეყნის სხვა რეგიონებისთვისაც".

ეს განცხადება ბურჯანაძემ გააკეთა იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი აპირებს აჭარის მოსახლეობისთვის გამარტივებული სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ. ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოს ოფიციალურ პირებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ წინააღმდეგი არიან რუსეთსა და საქართველოს ორ სხვა რეგიონს – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის [illegible] სავიზო რეჟიმის ფუნქციონირებისა.

საქინფორმი.

პოზიცია

ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოსაფხვრელად სერიოზული მუშაობა დაიწყება

პირველი გვერდიდან

– რა ცვლილებებს [illegible] ამ მხრივ? [illegible]

– ჩვენ არ გვინდა, [illegible]

– თქვენი აზრით, როგორ გამოსწორდება მდგომარეობა?

– [illegible]

– თქვენ ვარაუდობთ, რამდენ ხანში გამოსწორდება მდგომარეობა?

– [illegible]

– ჩრდილოვანი ეკონომიკა რას გულისხმობს?

– [illegible]

– რისი იმედი გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?

– [illegible]

[illegible] და კარგად ხართ გარკვეული ამ სფეროებში. დღეს სახელმწიფო ბიუჯეტში დიდი გარღვევაა.

[illegible] ვე, განვიხილეთ მონიტარიზაციის პროგრამები ხორბალთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

[illegible] თოთ...

ესაუბრა
ლია ჭილლაძე.

აქტუალური თემა

ზოგადი კერძოზე არ დაიყვანება

გვესაუბრება ბლოკ „სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი ნოდარ გრიგალაშვილი

– ბატონო ნოდარ, უზენაესმა სასამართლომ 2003 წლის მხოლოდ პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგები გააუქმა. ითქვა, რომ სასამართლოში სარჩელი 2 ნოემბრის მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებაზე არის შესული. პოლიტიკურ სპექტრში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ბევრი თვლის, რომ მაჟორიტარული არჩევნები არ უნდა გაუქმდეს, რადგან იმ საოლქო სასამართლოებში, სადაც არჩევნების შედეგები გარკვეული ეჭვის საბაბს იძლეოდა, უკვე განხილულია ან იხილება კანდიდატთა სარჩელები, ხოლო რამდენიმე ოლქში მეორე ტურია დანიშნული. მოკლედ, გაუგებრობაა. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში არჩეული მაჟორიტარები ამტკიცებენ, დეპუტატები ჩვენ ვართო, ახლები კი ამბობენ, ჩვენო. თქვენ რას იტყვით?

– მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, ჩვენთვის, ნაციონალური მოძრაობისათვის, უკეთესიც არის, თუ მაჟორიტარული არჩევნები გაუქმდება. ახალ არჩევნებში ჩვენ ათჯერ მეტ დეპუტატს გავიყვანთ, მაგრამ საერთოდ მაჟორიტარული არჩევნების შედეგების ყველგან გაუქმება, სამართლიანად არ მიმაჩნია. იქ, სადაც საჩივარი არ არის, იქ, სადაც მოსახლეობამ აღიარა, რომ ნამდვილად ეს კაცი აირჩა, აღიარეს მისმა კონკურენტებმაც, რომ ნამდვილად ამ კაცმა მოიგო არჩევნები, ასეთ შემთხვევაში გაუქმება უსამართლობაა, სადაც საჩივარია შეტანილი, იქ უნდა გაუქმდეს და არა ყველგან. ბორჯომში მაჟორიტარული არჩევნები მე მოვიგე, მაგრამ გამგებელი დამარცხებას ვერ ეგუება. სკამს ვერ ელევა. ყოველდღე აკეთებს განცხადებას, გადავდექიო, მერე ისევ მობრუნდება, ენანება გადადგომა. იცის, რომ წააგო, მაინც სკამზეა მიწებებული. ამ კაცს მოვუგე არჩევნები და არ მესმის, რატომ უნდა გამიუქმდეს მოგება?

– კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ასეთ რამეს, რომ შედეგები სადღაც დარჩეს და სადღაც ჩაიშალოს.

– მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გაუქმებაზე სასამართლოში სარჩელი იმ ხალხმა შეიტანა, ვინც არჩევნები წააგო. კიდევ უფრო წააგებენ, ვიმეორებ, ნაციონალური მოძრაობისთვის ეს უკეთესიც არის. უფრო მეტად მოვიგებთ. ისე მოვიგებთ, მართლაც ერთპარტიული პარლამენტი გვექნება. იმას მიაღწევენ, რომ ვინც ჰყავთ ახლა წარმომადგენელი, ისიც არ ეყოლებათ.

– მოსარჩელე მხარე აცხადებს, თუ პროპორციული არჩევნები გაყალბდა, მაჟორიტარული რით იყო განსხვავებულიო.

– პროპორციული არჩევნები იმიტომ გაუქმდა, რომ ვთქვათ, პარტიამ 63 ხმა მიიღო, ეწერა 630 ხმა. ერთი ნული მიამატეს. ამგვარი გადასწორებული ოქმები უამრავია. თუ მაჟორიტარებს ასეთ გადასწორებულ ოქმებს უნახავენ, რა თქმა უნდა, იქაც უნდა გაუქმდეს. ანუ, კერძო შეიძლება განვაზოგადოთ, მაგრამ ზოგადი წესი კერძოს მიმართ ყოველთვის სამართლიანი არ არის. ზოგადად არჩევნები მართლაც გაყალბებული იყო. პროპორციული წესით არჩევნები ზოგადად გაუქმდა, მაგრამ ეს ზოგადობა რომ კერძოზე, ყველა ადამიანზე დავიყვანოთ, არ შეიძლება.

საქართველო ზოგადად ცხოვრობს კორუფციის ჭაობში. ეს ფორმულა სწორია, მაგრამ მივედგეთ ახლა ყოველ კონკრეტულ ადამიანს, დავიჭიროთ და დავამუნათოთ, სწორი არ იქნება. ჩვენც ზოგადად ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაგრამ ყველა კონკრეტული ადამიანი ხომ არ არის დამნაშავე?

აი, რაღაც ამდაგვარი, სოფისტური ლოგიკით თუ უნდათ არჩევნების გაუქმება, კი ბატონო. სოფისტური ლოგიკა გვიკარნახებს, რომ ადამიანი სულიერია, მაგრამ ღორიც სულიერია. ესე იგი, ადამიანი ღორია? ზოგადი კერძოზე არ დაიყვანება.

– „ბურჯანაძე-დემოკრატებს" და „ნაციონალებს" საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი სია ექნებათ, მაგრამ ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რა საერთო სახელწოდებით გამოვლენ. სახელწოდება ჯერ არ მოგიფიქრებიათ? თქვენც წინააღმდეგი ხართ რომ ორივე არჩევნები იანვარში ჩატარდეს?

– სახელწოდების მოფიქრება პრობლემა არ არის. რაც შეეხება ორივე არჩევნების იანვარში ჩატარებას, თანახმა ვართ, თუკი მოესწრება. მაგრამ ტექნიკური საკითხია და, ვფიქრობ, გაძნელდება.

– ბატონო ნოდარ, ოპოზიციის ლიდერებმა „კმარას" მოქმედება დაგმეს. როგორ ფიქრობთ, ასეთი აქციები შეწყდება? სტუდენტებს უფლება აქვთ ნებისმიერი ლექტორის დათხოვნა მოითხოვონ, თუკი იგი მათ დონეს არ აკმაყოფილებს.

– „კმარამ" ყოველგვარ აქციაზე მორატორიუმი გამოაცხადა. ახლა აღარ გვინდა უკანა რიცხვებით მსჯელობა. ასეთი აქციები შეწყდება.

ესაუბრა
მზია გელენავა.

კანონმდებლები

პარლამენტის რიგგარეშე სხდომა

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი წერეთელმა დეპუტატებს რამდენიმე ინფორმაცია მიაწოდა. კერძოდ, როგორც მან განაცხადა, ფრაქცია „21-ე საუკუნის" წევრებმა მუხრან მაჭავარიანმა, სოსო სიგუამ, ზურაბ ქაფიანიძემ და ელდარ ნადირაძემ დატოვეს ფრაქცია, რადგან არ იზიარებენ ფრაქციის ხელმძღვანელის მიერ აღებულ კურსს და დამოუკიდებელ დეპუტატებად რჩებიან. ასევე დამოუკიდებელ დეპუტატებად დარჩებიან ვახტანგ კვიციანი და ნათელა პატარქალიშვილი, რომელთაც შესაბამისად დატოვეს ფრაქციები „სოციალისტი" და „აღორძინება".

შემდეგ დეპუტატმა ზურაბ ადეიშვილმა განსახილველად გამოიტანა „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტი. ეს პროექტი 2004 წლის 4 იანვრის პრეზიდენტის არჩევნებისათვის საარჩევნო კოდექსში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანას ითვალისწინებს. მათი მიხედვით ამომრჩეველთა მარკირება ყველა საარჩევნო უბანში უნდა განხორციელდეს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უნდა დანიშნოს საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის თანხმობით. არის რამდენიმე ტექნიკური ცვლილებაც. რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს, არსებობს რამდენიმე ვარიანტი და შეთანხმების მისაღწევად კონსულტაციები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

* * *

პარლამენტმა 28 ნოემბრის რიგგარეშე სხდომაზე დაჩქარებული წესით კენჭი უყარა და დაჩქარებული წესით - სამივე მოსმენით 135 მომხრით ერთხმად მიიღო საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ". ამით მომავალი პრეზიდენტის არჩევნების ტექნიკური პროცედურებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა დაიხვეწა. პარლამენტის გადაწყვეტილებით, ამიერიდან, საქართველოს პრეზიდენტი ერთპიროვნულად ველარ დანიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. ცესკოს თავმჯდომარის დასანიშნად მას პარლამენტის თანხმობა დასჭირდება.

უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მოახდინა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ (საგანგებო თანხმობა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებაზე, 2002) შეთანხმების რატიფიკაცია. ამ საკითხს მხარი 129 დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგი არავინ იყო.

საქინფორმი.

კადრები

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის განკარგულების საფუძველზე კარლო გუჯაბიძე გათავისუფლდა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის განკარგულების საფუძველზე გიორგი გოდაბრელიძე დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილედ.

საქინფორმი.

SIC!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის განცხადება

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა გარკვეული რეზონანსი გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. გადამხდელთა ერთი ნაწილი, სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, გაგებით ეკიდება მომხდარს, დროულად იხდის შესაბამის გადასახადებს. სამწუხაროდ, მეწარმეთა ერთი ნაწილი სრულიად უსაფუძვლოდ, არათუ არ იხდის ძველ ვალს, არამედ მიმდინარე გადასახადის გადახდასაც არიდებს თავს.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ძლიერება საზოგადოების თითოეული წევრის, მათ შორის გადასახადის გადამხდელების ვალდებულებათა შესრულებაზე ბევრადაა დამოკიდებული და ეს ვალდებულებები, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ყველას ერთნაირად ეკუთვნის.

მართალია, მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიმართ გარკვეული შენიშვნები არსებობს, რომელთა დიდ ნაწილსაც ვეთანხმებით, მაგრამ ახლა კამათის დრო არ არის. ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებამდე ყველა გადამხდელი ვალდებულია შეასრულოს მოქმედი კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებები. ამდენად, გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, ყველა გადამხდელის მიმართ გატარდება კანონით განსაზღვრული უმკაცრესი ღონისძიებები.

ექო

ნოემბერი ჩვენი მღელვარებისა

სამი დღე ბობოქრობდა სტუდენტურ-ლექტორული ვნებები უნივერსიტეტისა და მისი რექტორის გარშემო.

ეს დღეები წინას, კიდევ უფრო ქარიშხლიანს გადაება. ბევრი ხომ არ არის ერთი თვისა და ერთი, პატარა ქვეყნისათვის?..

ჩვენ ყველანი, ყველანი თუ არა, ბევრნი, უნივერსიტეტიდან მოვდივართ, ასომთავრულით დასაწერიდან, მშობლიურიდან და ამიტომ ვღელავდით, განვიცდიდით... მგონი ეს ქარიშხალიც ჩაცხრა და ჩამომდგარ „სიწყნარეში" ტელეფონით სამ მათემატიკოსს შევეხმიანე, სამ კოლეგას, რომელთაგან ორის მასწავლებელი ვიყავი — ჩემდა საამაყოდ...

ლაზარე ზამბახიძე, უნივერსიტეტის პროფესორი, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი (26 ნოემბრის დიალოგი):

– მთელი დღე საშინლად ვინერვიულე, ემოციურად ძალიან დატვირთული ვარ. საქმე ხომ მარტო რექტორში არ არის, უნივერსიტეტის პრესტიჟის ამბავია, უნივერსიტეტის ღირსების ამბავია. მინდა იცოდეთ, რომ მთელი ჩვენი ფაკულტეტი როინ მეტრეველის დაცვაში ერთსულოვანია.

– „კმარიები" თუ გყავთ სტუდენტთა შორის...

– მაშინ ხომ ერთსულოვანიც ვერ ვიქნებოდით, არც ერთი არა გვყავს...

ელიზბარ ნადარაია, უნივერსიტეტის პროფესორი, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის გამგე (27 ნოემბრის ჩანაწერი):

– დიდი საბჭოს სხდომაზე, 2 წლის წინათ, ბატონ როინს დარჩენა ვთხოვეთ. დაგვეთანხმა, მაგრამ მალე გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო. ჩემთვის უცნობია, რა მოხდა დროის ამ მონაკვეთში. დღეს, 11 საათზე, ისევ დიდ საბჭოზე შევიკრიბეთ 200-მდე წევრი. ძალიან ბევრი გამოვიდა სიტყვით... გაგვეხარდა, რომ მიხეილ სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი მოვიდა ჩვენთან და უნივერსიტეტის ავტონომიურობა, ხელშეუხებლობა დაგვიდასტურა... ასე დაგვიბრუნდა რექტორი.

როინ მეტრეველი გამოჩენილი სპეციალისტი ხომ არის, ამასთან, ძალზე კეთილი და საქმის მცოდნე კაცია.

თამაზ ვაშაყმაძე, უნივერსიტეტის პროფესორი, უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (27 ნოემბრის ჩანაწერი):

– ჩემი აზრით, უნივერსიტეტის ცხოვრებაში ორი მომენტია აღსანიშნავი. ერთის მხრივ ფიზიკის, მათემატიკის, სხვა საბუნებისმეტყველო დარგების არაერთი მიმართულებით მოპოვებულ წარმატებებს, ბოლო წლების საერთაშორისო აღიარებას თვალს ვერ მოუხუჭავ. რექტორატი და დიდი საბჭო ამას ყოველმხრივ უწყობდა ხელს.

რექტორის თაოსნობით უნივერსიტეტის პროფესურა, როგორც არსად საქართველოში, დღევანდელობის კვალობაზე, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი ხელფასებით. არა ბიუჯეტის ხარჯზე, არამედ დატვირთვის გაზრდითა და ეგრეთ წოდებული ფასიანი ჯამაგირების შემოღებით, რაც გაცილებით აღემატება ბიუჯეტით არსებულს. პრინციპში, ეს, პირველ რიგში, რექტორის დამსახურებაა. დაუმატეთ დიდი ყურადღება ასპირანტებისადმი, მაძიებლებისადმი, საერთოდ, ახალგაზრდა კადრებისადმი, დაუმატეთ მათთვის წამახალისებელი პრემიები, აპარატურით ლაბორატორიების მომარაგებაზე ზრუნვა.

მეორეს მხრივ, როგორც ქვეყნის ერთ-ერთ ფინანსურად დიდ ერთეულს, უნივერსიტეტს ყველაფერი რიგზე ვერ ექნება, მაგრამ ამას მიხტომა და ყვირილი კი არ უნდა... ნაკლოვანებათა დაფარვა არ ეგების, ჭირი თავს არ დამალავს, მაგრამ ნეგატიური ფაქტები თუ არის, მოტანაა საჭირო, დასაბუთება და ზომების მიღება, ოღონდ რბილად, კანონიერების ფარგლებში და არა აგრესიულად.

თამაზ ებანოიძე.

... სამდღიანმა „უნივერსიადამაც" ჩაიარა. აკადემიკოსი როინ მეტრეველი რექტორის პოსტზე რჩება. ამ დღეებში დამატებით გამოჩნდა „ჰუ იზ ჰუ". „კმარასა" თუ „კმარიებზეც" მეტი ვიცით. ოღონდ ვინ არის „კმარბადი"? ეგებ მრავლობითში უნდა მეკითხა — „კმარბადები"?..

რეაქცია

რათა მოქალაქეთა უფლებები დაცული იყოს

საქართველოს სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ლომსაძემ წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს პოლიტიკური ძალების დაპირისპირების ფონზე მასობრივი გამოსვლების მშვიდობიანად და უსისხლოდ დასრულებასთან დაკავშირებით.

2 ნოემბრის არჩევნები ჩატარდა სერიოზული დარღვევებით, რაც პირველ რიგში განაპირობა ამომრჩეველთა სიების უზუსტობამ და საარჩევნო უბნებში სხვადასხვა სახის უხეშმა დარღვევებმა. ხელყოფილ იქნა ამომრჩეველთა პოლიტიკურ-სამოქალაქო უფლებათა ჯგუფიდან უმნიშვნელოვანესი — საარჩევნო ხმის უფლება, რის გამოც საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო უმთავრესი კონსტიტუციური უფლების განხორციელება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოძიებული ყველა ის ფაქტი, რომელიც დაკავშირებულია დასახელებულ დარღვევებთან და შესაძლო დანაშაულებებთან. მკაცრად უნდა მოეთხოვოთ პასუხი იმ პირებს, ვისი უშუალო ქმედებებითაც დაირღვა თითოეული მოქალაქის საარჩევნო უფლებები.

დღეს ხელისუფლებას და ყოველ მოქალაქეს მართებს განსაკუთრებული ორგანიზებულობა, რათა ქვეყანა დაუბრუნდეს მშვიდობიანი ცხოვრების რიტმს. განურჩევლად პარტიული კუთვნილების და შეხედულებებისა მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული თითოეული მოქალაქის უფლება და თავისუფლება. ამასთან, გულისწყრომას იმსახურებს ზეწოლისა და ძალადობის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ცალკეულ შემთხვევაში ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის, მათი ლიდერისა და დამოუკიდებელი პრესის მიმართ.

ჩვენ ყველას, გვაკისრია ისტორიული მისია. სახალხო დამცველის აპარატი და პირადად მე, შევეცდებით მთელი მოცულობით აღვასრულოთ კონსტიტუციითა და ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარების უზრუნველყოფის საქმეში, რისთვისაც გამოვთქვამთ მზადყოფნას თანამშრომლობისათვის.

ოპოზიცია

ირინა სარიშვილი 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს

სახელისუფლებო ბლოკის ყოფილი სპიკერი და „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ყოფილი ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს.

სარიშვილი არჩევნების ბოიკოტირების აქტიურ კამპანიას უახლოეს დღეებში თავისი ახალი პოლიტიკური გაერთიანებით „ახალი ძალით" დაიწყებს.

„უზურპატორ სამეულს არ უნდა მიეცეს თავის თავზე მორგებული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა, რადგან იმ საფრთხეს, რასაც ეს სამეული წარმოადგენს, შესაძლოა ქვეყნის დანაწევრება მოჰყვეს" — განაცხადა ირინა სარიშვილმა.

მისივე თქმით, ცესკოს უნდა მოეთხოვოს უმოკლეს ვადაში საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა.

მოძრაობა „სახალხო კოალიცია" ჩამოყალიბდა

საქართველოს გარდამავალი ხელისუფლების წინააღმდეგ მშვიდობიანი ფორმებით ბრძოლისათვის გუშინ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოძრაობა „სახალხო კოალიცია" ჩამოყალიბდა.

კონსტიტუციური მართლწესრიგის აღდგენის მოთხოვნით „სოციალისტების", „ლეიბორისტების", „აღორძინების", „მრეწველების" და სხვა პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებმა, ასევე ინტელიგენციის ნაწილმა საერთო ოპოზიციური ფრონტი შექმნეს, რომლის წარმომადგენლობითი შეხვედრა გუშინ სასტუმრო „საქართველოში" შედგა.

„ჩვენი გაერთიანება იქნება სტიქიური პროტესტის მატარებელი იმის წინააღმდეგ, რაც 22 ნოემბერს საქართველოში მოხდა. ფაქტია, რომ ხალხი ქუჩაში იმიტომ არ გამოსულა, რომ რევოლუციონერები გუბერნატორები და მინისტრები გამხდარიყვნენ. ხალხი ქუჩაში იმ სოციალურმა უკმაყოფილებამ გამოიყვანა, რომელშიც უდიდესი წვლილი დღევანდელ ხელისუფალთ მიუძღვით" — განაცხადა „ინტერპრესთან" საუბრისას „სოციალისტმა" ზაქარია ქუცნაშვილმა.

მისივე თქმით, „მოქალაქეთა კავშირი", როგორც მშიშრებისა და კორუმპირებულების პარტია, უნდა ჩამოშორდეს პოლიტიკურ ასპარეზს".

„კადრები წყვეტენ ყველაფერს" ან - განწყვეტენ...

საქართველოს დროებითი მთავრობის მიერ გატარებულ საკადრო პოლიტიკას ოპონენტები გამოუჩნდნენ, რომლებიც ხელისუფლებას მოუწოდებენ „არ მიიღონ ქვეყნის დამღუპველი გადაწყვეტილებები და საქართველოს ეკონომიკური მართვის სადავეები არ გადასცენ იმ პირებს, რომელთა არაკომპეტენტურმა მმართველობამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყანაში უმძიმესი კრიზისული ვითარების შექმნა".

„საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტმა", „ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ფონდმა", „სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრმა" და „ინსტიტუციური რეფორმების ცენტრმა", ასევე, ეკონომიკურმა ექსპერტმა ნიკო ორველაშვილმა, „ეი-ი-ეს თელასის" ყოფილმა ლობისტმა ირაკლი მელაშვილმა, ირაკლი შაშვიაშვილმა, აკაკი ჩარგეიშვილმა და ნიკო მელიქიძემ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ პერიოდში, ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა შექმნა გარკვეული წინაპირობები იმისათვის, რომ „წლების მანძილზე უწიგნური მმართველობის მიზეზით ხელოვნურად შეფერხებული, ან არასწორი მიმართულებით წარმართული ეკონომიკური პროცესები განვითარების ნორმალურ კალაპოტს დაბრუნებოდა, მაგრამ ახალი ხელისუფლების საკადრო გადაწყვეტილებები მათი რეალიზაციის ალბათობას ჩანასახშივე სპობს".

განცხადების ავტორები საქართველოს გარდამავალ ხელისუფლებას მოუწოდებენ უერთგულონ მათ მიერ გაცხადებული საკადრო პოლიტიკის ძირეულ პრინციპებს და მმართველი კადრები არა პიროვნული ერთგულებისა და ახლობლობის, არამედ მაღალი პროფესიონალიზმისა და წესიერების ნიშნით შეარჩიონ.

ინტერ-პრესი.

ზოგი გადადგა, ზოგი – არა, ზოგი – ემზადება

გუშინ დაკავებული თანამდებობიდან გადადგნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი.

თბილისის ახლადდანიშნულმა პროკურორმა რამაზ ქლენტმა გუშინ საკუთარი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ განცხადება გააკეთა. ქალაქის პროკურორი ისევ თენგიზ მახარაძეა. მიზეზად ის დაასახელა, რომ მას „მიხეილ მაჭავარიანის სიმამრობა აქილევსის ქუსლად ექცა".

რამაზ ქლენტი ამ დღეებში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შესაბამისად, გენერალური პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოდან ქალაქის პროკურატურაში გადმოიყვანეს, ხოლო თენგიზ მახარაძე გენპროკურატურაში მის ადგილას დანიშნეს.

კულუარული ინფორმაციით, სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლის ადგილი, შესაძლოა, ასპინძისა და ბორჯომის ყოფილმა გამგებელმა ემზარ ასპანიძემ დაიკავოს. ამ ინფორმაციას „ბურჯანაძე-დემოკრატების" ადგილობრივი ლიდერი გოჩა ნათენაძეც ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ რწმუნებულის პოსტზე ოფიციალურად ჯერ არავინ დანიშნულა.

რუსთავის პოლიციას ახალი უფროსი ჰყავს. დავით მჭედლიშვილის სავარძელი რუსთავის პოლიციის პირველი ქვეგანყოფილების უფროსმა რამაზ ელოშვილმა დაიკავა.

მჭედლიშვილი თანამდებობაზე 2 ნოემბრის არჩევნების წინ დაინიშნა და სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერად მოიაზრებოდა. გადადგომის შესახებ განცხადება კი მან გუშინ, შს მინისტრის თანამდებობაზე გიორგი ბარამიძის დანიშვნისთანავე დაწერა.

რაც შეეხება რამაზ ელოშვილს, იგი მჭედლიშვილის მოსვლის დღიდან ხელისუფლების დამხობის დღემდე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვებულებაში იმყოფებოდა.

ხონისა და ჭიათურის რაიონების გამგებლებმა ოთარ ქამიბაძემ და დავით ივანიშვილმა დღეს პირადი განცხადებებით თანამდებობები დატოვეს.

„ჩვენ ვიყავით და ვრჩებით იმერეთის ყოფილი გუბერნატორის თემურ შაშიაშვილის გუნდის წევრებად, ჩვენ მხოლოდ მას ვენდობოდით", — განუცხადეს მათ „ინტერ-პრესს" ამ გადაწყვეტილების კომენტირებისას.

როგორც „ინტერ-პრესისთვის" გახდა ცნობილი, თანამდებობებს იმერეთის კიდევ ორი — სამტრედიისა და ბაღდათის რაიონების გამგებლები დატოვებენ.

ტერორისტს – 14 წელიწადი

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სავაჭრო ცენტრ „მორკინალის" მეპატრონის ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში ეჭვმიტანილ ალექსანდრე მაისურაძეს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მსჯავრდებული სასჯელს მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის.

როგორც „ინტერ-პრესს" ალექსანდრე მაისურაძის ადვოკატმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ განუცხადა, ამ გადაწყვეტილებას ის 14 დღის ვადაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატაში გაასაჩივრებს.

8 მაისს სასტუმრო „აჭარასთან" სავაჭრო ცენტრ „მორკინალის" მეპატრონის ჯონი გიგანის ავტომანქანა აფეთქდა. პოლიციამ დანაშაულში ეჭვმიტანილი ალექსანდრე მაისურაძე იმავე დღეს დააკავა.

პროცესი გრძელდება

საოლქო სასამართლოში ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობაში ეჭვმიტანილის გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესზე დღეს ჟურნალისტის მეუღლე — ხათუნა ჩხაიძე მივიდა.

ხათუნა ჩხაიძის თქმით, ის ისევ მოითხოვს სისხლის სამართლის საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნებას, რადგან „აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება არც წარმართულა".



პროცესზე კინომცოდნე გიორგი გვახარიამ უწყება გამოაგზავნა. მან სასამართლოს, წინასწარ გამოძიებას და პირველი ინსტანციის სასამართლოსაც უკვე მისცა ჩვენება და იგი დღესაც იგივე პოზიციას აფიქსირებს. დღესვე სასამართლოზე კიდევ ორი მოწმე დაიკითხა.

აღნიშნული პროცესი 11 დეკემბერს განახლდება. 2001 წლის 26 ივნისს ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი გიორგი სანაია საკუთარ საცხოვრებელ ბინაში მოკლული იპოვეს. პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი გრიგოლ ხურცილავა ოთხ თვეში დააკავა.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

ჩვენ

უნივერსიტეტს მშვიდობიანი დღე გაუთენდა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ მიმდინარე სტუდენტთა რამდენიმედღიანი აქცია მშვიდობიანად დასრულდა. სტუდენტობა ჩვეული გულწრფელობით და უშუალობით იცავდა დედაუნივერსიტეტის ღირსებას. დაიცვა კიდეც: დღევანდელმა ხელისუფლებამ უმაღლეს სასწავლებელს ავტონომიის გარანტია მისცა. რექტორი როინ მეტრეველი თანამდებობას დაუბრუნდა. ერთსულოვნებამ მე იმაზე მეტი იმედი გამიჩინა, ვინემ აქამდე მქონდა, იმედი ხვალინდელი დღისა — განაცხადა მან.

და აი, დადგა უნივერსიტეტის პირველი მშვიდობიანი ხვალინდელი დღეც... ჩვეულებრივი, წყნარი გარემო, წინა დღეებისგან განსხვავებით, უნივერსიტეტის ბაღშივე იგრძნობოდა, მის კედლებშიც კეთილგანწყობა სუფევდა...

ვახტანგ გურული, პროფესორი, ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე: უნივერსიტეტის ეზოში განვითარებული მოვლენების შემდეგ სწავლის პროცესი ჩვეულებრივად განახლდა, აღდგა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაც. ფაქტობრივად, ყველა სასწავლო აუდიტორიაში ლექცია დროულად დაიწყო, რომელსაც სტუდენტობის 70-80 პროცენტი ესწრებოდა. უკვე სტუდენტების ერთ-ერთმა სამეცნიერო წრემაც იმუშავა, რამდენიმე კათედრაზე სხდომაც კი დაინიშნა. უამრავი საქმეა გასაკეთებელი — სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით იწყება ჩათვლები, გამოცდები, წლიური სამეცნიერო კვლევითი შრომების ჩაბარების პერიოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამბების შემდეგ სასწავლო პროცესი დაიწყო უფრო ორგანიზებულად და შეიძლება ითქვას, მეტი მონდომებით, იმედით. ვფიქრობთ, ასევე გაგრძელდება... ამჯერად, მადლობის მეტი დღევანდელი ხელისუფლებისადმი არაფერი გვეთქმის, მათ ჩვენი პრობლემა ნამდვილად სამართლიანად გადაწყვიტეს.

მარიკა ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი: მივესალმები, რომ დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა თავის საქმეს აკეთებს. ამასთანავე, იმედი მაქვს, რომ არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სტაბილურობა საბოლოოდ დამყარდება და შესაბამისად, ჩვენი უნივერსიტეტიც უფრო დაცული იქნება. ამის საფუძველს მიხეილ სააკაშვილის განცხადებაც მაძლევს. მან თქვა, რომ უნივერსიტეტი გადასახადისგან უნდა გათავისუფლდეს (შეგახსენებთ, რომ ფასიანი სწავლებიდან შემოსული თანხის 53 პროცენტი სახელმწიფოს მიაქვს), ანუ სასწავლებელი შემოსულ თანხას უნივერსიტეტშივე განკარგავს, რაც თანამშრომლების, სტუდენტების პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

ლია მაჭავარიანი, დოცენტი, გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე: სასიხარულოა, უნივერსიტეტის დღევანდელი, ჩვეული რიტმი. ბუნებრივია, სასწავლებელზე ზეწოლამ ჩვენი ფაკულტეტის აღშფოთებაც გამოიწვია, გეოგრაფიის ფაკულტეტიც ისევე იდგა უნივერსიტეტის ღირსების დასაცავად, როგორც ყველა დანარჩენი... უნივერსიტეტის პირველ მშვიდობიან დღეს თანამშრომლები და სტუდენტები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ.

ზაურ ტალახაძე, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი: მე მხოლოდ ამას ვიტყვი — დღეს ჩემი განწყობილება ამაღლებული და იმედიანია...

ლელა დონაძე.

ასე რომ სახელმწიფო უნივერსიტეტმაც, შეიძლება ითქვას, ახალი ცხოვრება დაიწყო... მისი პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტობასთან ერთად, ამჯერად მშვიდად, აუღელვებლად, ყოველგვარი განხეთქილებისა და დაპირისპირების გარეშე, უმთავრეს საქმეს — სწავლა-განათლების პროცესს შეუდგნენ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

მათი აზრი

რევოლუცია ყველა დროს შეიძლება მოხდეს

ცხოვრებაში ბევრი რამ ვნახე: მეორე მსოფლიო ომი, შიმშილი, თითქმის ყველანაირი გაჭირვება დამატყდა თავს. ბევრჯერ ჩამიხედავს სიკვდილისთვის თვალებში და სასწაულით გადარჩენილს, მუხლებზე დაცემულს მადლიერების სიტყვები აღმომხდენია უფლისადმი. ძნელია ამ განცდის გადმოცემა, რასაც იმ წუთებში განვიცდიდი.

მსგავსი განცდა მქონდა 23 ნოემბერსაც, როცა ამდენი დაძაბულობის შემდეგ უსისხლო გადატრიალების მოწმე გავხდი. იმაზე არაფერს ვამბობ, რამდენად წინდახედულად მოიქცა პრეზიდენტი, როცა სისხლისღვრას მოერიდა და გადადგომაზე განცხადება გააკეთა, ათმაგად ბედნიერი ვიყავი ოპოზიციის თავშეკავებულობით. ადვილი არ არის ამდენი ხალხი ასეთი დისციპლინით უექსცესებოდ მართო.

ახლა მთავარია, ყველა ერთად დადგეს და ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებები მიიღოს. ხალხი დაიღალა ამდენი გაჭირვებითა და ტყუილი დაპირებებით. ვფიქრობ ამჯერად მაინც არ გაუცრუვდებათ იმედი და რაღაცნაირად გამოსწორდება სოციალური მდგომარეობა.

არ უნდა განმეორდეს ის შეცდომები, რაზეც წინა ხელისუფლებას თვითონ მიუთითებდნენ, რადგან ყველაზე უკეთ იციან, რა შეუძლია გამწარებულ ხალხს. რევოლუცია კი, სისხლიანი იქნება თუ მშვიდობიანი, ყველა დროს შეიძლება მოხდეს, მთავარია ქვეყანაში ხელისუფლებამ ამის წინაპირობა და საფუძველი არ შექმნას.

ასეთ მშვიდობიან გადატრიალებაში უფლის ხელი ურევია, წმინდა გიორგიმ დაიფარა ჩვენი შვილები განსაცდელისგან და ვფიქრობ, არც მომავალში მიგვატოვებს. ამიტომ ყველაფერი კარგად იქნება.

გიორგი ციხელაშვილი,
ომის ვეტერანი.

გვეხმაურებიან

წარმომადგენლობა დღენიადაგ იღვწოდა და იღვწის ცენტრისა და რეგიონის დაახლოებისთვის

2003 წლის 27 ნოემბერს თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა სტატია „ღმერთმა ნუ ქნას, მესამე პრეზიდენტმაც იმავე ფოცხს დააბიჯოს ფეხი" (ავტორი სოსო ცინცაძე), რომელშიც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან აჭარის წარმომადგენლობა მოხსენიებულია, როგორც „გაურკვეველი, თუმცა ანტიქართული სახელმწიფოებრივი ფუნქციის შემსრულებელი ორგანიზაცია. იმისათვის, რომ მკითხველისთვის გასაგები იყოს, რის შესახებ და რატომ ლაპარაკობს ბატონი სოსო, ანუ გასაგები იყოს მისი განცხადების მოტივაცია, ორიოდ სიტყვით აჭარის წარმომადგენლობის არსებობის საფუძვლებისა და მიზნების შესახებ.

აჭარის წარმომადგენლობა 1998 წელს შეიქმნა და მას შემდეგ ანხორციელებს იმ საქმეს, რასაც ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობათა გამოსწორება-ჩამოყალიბება ჰქვია. ვითარება ასეთია: რომ არა ცენტრალური ხელისუფლების მაღალი თანამდებობის ზოგიერთი პირის არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულება საქმისადმი, აჭარასთან ურთიერთობა დღეს გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რაც აღელვებს ნორმალური ფსიქიკის მქონე ყოველ ქართველს. წარმომადგენლობა დღენიადაგ იღვწოდა და იღვწის ცენტრისა და რეგიონის დაახლოებისათვის.

იმისათვის, რომ ბატონ სოსოს გაუადვილდეს აჭარის წარმომადგენლობის „ანტიეროვნული საქმეების" ნუსხაში გარკვევა, მისი, როგორც „ეროვნული მოძღვარის" წინაშე აღსარებით ვაცხადებთ, რომ გარდა იმ ოფიციალური, სახელმწიფოებრივი საქმიანობისა, რასაც წარმომადგენლობა ასრულებდა, მან სახელი გაითქვა, როგორც საქართველოსა და თბილისის საზოგადოებრიობის თავშეყრის ადგილმა. ბატონი სოსოს წინაშე „ვაღიარებთ" რომ „ანტიქართული პოლიტიკის" განსახორციელებლად წარმომადგენლობაში ჩატარდა გოეთეს ინსტიტუტისადმი, ანსამბლ „კელაპტრის" 20 წლისთავისადმი, ჰამლეტ გონაშვილის, ლია ელიავას, ეროსი მანჯგალაძის, გრიგოლ ლორთქიფანიძის, მემედ აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები. „ანტიეროვნული განზრახვით" წარმომადგენლობაში გაიმართა კომპოზიტორების რუსუდან სებისკვერაძის, ნუნუ გაბუნიას, იაკობ ბობოხიძის, ედიშერ გარაყანიძის, მწერალ ლევან სანიკიძის, პოეტ ფრიდონ ხალვაშის, ქართული ნაციონალური ბალეტის, ნონა გაფრინდაშვილის, გარი კასპაროვის და სხვათა პატივსაცემი 100-ზე მეტი საღამო. ბატონი სოსოს წინაშე უნდა „ვაღიაროთ", რომ ამ „ანტიეროვნულ ღონისძიებებში" მონაწილეობის მისაღებად წარმომადგენლობამ ჩაითრია საქართველოს ნაღები საზოგადოება, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაკები.

აჭარის წარმომადგენლობა აღტაცებას ვერ ფარავს ცინცაძის თვალის სიბასრით და გამჭრიახობით. რად ღირს მის მიერ საქართველოს მომავალი ხელისუფლების გამოსაფხიზლებლად, თბილისის საკრებულოს წინ ჩატარებულ მიტინგში ჰამლეტ ჭიპაშვილის შემჩნევა. „კეთილი განზრახვა" ყველასათვის ნათელია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის მტრები არ შეეცადნენ იმ ფაქტის სააშკარაოზე გამოტანას, რომ ცინცაძის მიერ საკრებულოს წინ მიტინგზე დანახული ჰამლეტ ჭიპაშვილი იმ დროს ქ. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის განვითარებასთან დაკავშირებით პრესკონფერენციას მართავდა ნავსადგურის ხელმძღვანელობასთან და იქ მომუშავე ფრანგ სპეციალისტთან ერთად.

საქართველოში რევოლუციის ტალღამ გადაიარა და დგება რევოლუციის შედეგების, როგორც ამღვრეულ წყალში თევზის ჭერის დრო.

აჭარის წარმომადგენლობა, ჯერჯერობით, სოსო ცინცაძის პორტრეტის ამ კონტურების მოხაზვით დაკმაყოფილდება, მაგრამ თუ საჭირო გახდება, მის სრულყოფილ პორტრეტს წარმოადგენს.

აჭარის წარმომადგენლობა.

მეტალურგია

კომბინატის ახალი სიცოცხლე

ექვსწლიანი შესვენების შემდეგ დღეს მუშაობას შეუდგა რუსთავის მეტალურგიული კომბინატი. რესტრუქტურიზაციამ შეაძლებინა რუსთაველ მეტალურგებს ეზრუნათ საწარმოში ახალი სიცოცხლის დამკვიდრებისათვის. ინვესტორის შემოსვლამ იმედი ჩაუსახა სპეციალისტებს, რომ გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების წყალობით ქარხანა ამოქმედდებოდა, რომლის მუშაობაზეც დამოკიდებული იყო და დღესაც არის ქალაქის სამრეწველო ცხოვრება. არსებულ მძიმე ეკონომიკურ სიტუაციას დაემთხვა მკვეთრად განსხვავებული გარემოება ქვეყანაში, რომელმაც, საბედნიეროდ, მოახერხა ჩიხიდან გამოსვლა და პოლიტიკური ვითარება ხალხის ინტერესების სასარგებლოდ შეცვალა.

კომბინატის ამუშავება სტიმული უნდა გახდეს ქალაქში მრეწველობის აღორძინებისა, რომ უკვე მოქმედმა საწარმოებმა უზრუნველყონ რუსთავის მყარი ბიუჯეტის ფორმირება.

გთავაზობთ ინტერვიუს სააქციო საზოგადოება „რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" ხელმძღვანელთან **ირაკლი ქორდანიასთან.**

— ბატონო ირაკლი, რა იგულისხმება სარეაბილიტაციო პროგრამაში, რომელიც დღესაც ხორციელდება?



— უმთავრესი, რაც სარეაბილიტაციო ხაზით გაკეთდა, იყო ობიექტის ამუშავებისთვის აუცილებელი იურიდიული ბაზის შექმნა, მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი კომბინატის ამოძრავებაზე ფიქრი. ინვესტორები გაგებით მოეკიდნენ საწარმოში წლობით დაგროვილი პრობლემების გადაჭრის საქმეს, რის შედეგადაც აღდგა მილსაგლინავი საამქრო. ამ დროისათვის უკვე ჩადებულია 6 მილიონამდე დოლარი. გასულ წელს გაიგლინა 3000 ტონაზე მეტი მაღლახარისხოვანი მილი, რომელიც რეალიზებულია საზღვარგარეთ. ახლა, როცა უკვე აღდგა დგან „400" და მუშაობს, დამატებით გამოყვეს კიდევ ინვესტიციები. პარალელურად იწყება კომბინატის იერსახის შეცვლა, მოწესრიგება ადმინისტრაციული კორპუსისა და საამქროთა მიმდებარე ტერიტორიების მოპირკეთება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ აგრეგატების მოდერნიზებას, რომლებმაც უნდა აწარმოონ სარგავი და საკომპრესორო მილები, მოახდინონ მილების ცივად დამუშავება, ხრახნის მოჭრა, შეღებვა, შემოწმება და სხვა ოპერაციები საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად.

შემუშავებული და სასამართლოს მიერ დამტკიცებულია ქარხნის განახლების გრძელვადიანი პროგრამა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ელექტროფოლადსადნობი კომპლექტის მშენებლობა, ენერგეტიკული ბაზის შექმნა და მილსაგლინავი საამქროს ცივად დამუშავების განყოფილების გადაიარაღება თანამედროვე უნიკალური მოწყობილობებით. ძირითადი დამამზადებელი გერმანულ-ავსტრალიურ-იტალიური კომპანიებია, რომლებიც ამგვარ აგრეგატებს ამონტაჟებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სარეაბილიტაციო პროგრამას თან ახლავს სასამართლოს გადაწყვეტილება და კრედიტორებთან ანგარიშსწორების გრაფიკი. კრედიტორების დავალიანების გასტუმრება მოხდება 15 წლის განმავლობაში. ამასთან, ინვესტორებმა გაითვალისწინეს შექმნილი მძიმე მდგომარეობა და გადაწყვიტეს 2 წლის განმავლობაში დაფარონ მუშა-მოსამსახურეთა სახელფასო დავალიანება.

რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებს ქარხნის მუშაობას გადაიარაღებისა და რეაბილიტაციის პარალელურად. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, ანუ პრაქტიკულად ვაწარმოოთ მილები, მოვახდინოთ მათი რეალიზაცია და ეს თანხები გამოვიყენოთ წარმოების ასაღორძინებლად.

მილსაგლინავი საამქრო რომ მუშაობდეს, ამისათვის საჭიროა შესაბამისი ენერგო და მექანიკური სამსახურების მუშაობაც და ნაწილობრივ ინფრასტრუქტურის შექმნა. მარტო მილების წარმოებაზე 1200 კაცი დასაქმდება. გასულ წელს ინვესტორებმა მოახდინეს მილსაგლინავი საამქროს აპრობაცია. მათი აზრით, საჭირო იყო 1 მილიონი დოლარი და ერთი წელიწადი, რომ დგან „140" გაშვებულიყო, ფაქტობრივად კი ჩვენ შევძელით ორ თვეში აგვე-

მუშავებინა აგრეგატი და დავხარჯეთ 200 000 დოლარი, გამოვუშვით წინა წლებისგან განსხვავებით განსაკუთრებით მაღალი ხარისხის პროდუქცია. აქედან 1000 ტონა მილი წავიდა თურქმენეთში და ამდენივე ყაზახეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ არავითარი პრეტენზია არ ყოფილა ხარისხის მიმართ. ამის შემდეგ პრაქტიკულად ერთი წელი გაჩერდა ქარხანა. ეს იმიტომ მოხდა, რომ რამდენიმე კრედიტორმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში. ისინი მოითხოვდნენ არა რეაბილიტაციის, არამედ გაკოტრების რეჟიმს. ეს იყო ქარხნის საბოლოო განადგურება და სასამართლოში დიდი მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ქარხანაში გაგრძელებულიყო სარეაბილიტაციო რეჟიმი. ბოლო ერთ თვეში ინვესტორებმა მოახერხეს მინამზადის შეკეთებაც და გამოგზავნეც, ნამზადის პირველი პარტია 4 ათასი ტონა შემოსულია ევროპიდან. 3250 ტონას ველოდებით რუსეთიდან, კერძოდ კი, ასკოლის მეტალურგიული ქარხნიდან. ეს იქნება განსაკუთრებით მაღალი ხარისხის მილების დასამზადებლად განკუთვნილი სხმულები, ასეთი ხარისხის ნამზადი ჩვენთან ჯერ არ შემოსულა.

29 ნოემბერი იქცევა დგან-„400"-ის დაბადებისა და აღორძინების თარიღად. ეს დიდი ზეიმია ქარხნისთვის. ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, იქნება საწარმოს პირველი ამოძრავება. ამას მოჰყვება მეორე, რაც გათვლილია 15 ათას ტონა მილზე, მესამე — 25 ათას ტონაზე. ეს ნიშნავს, რომ ქარხანა პრაქტიკულად დაიწყებს უწყვეტ ფუნქციონირებას. მალე ცნობილი გახდება ის დაკვეთები, რაც საზღვარგარეთის ქვეყნებისთვის უნდა შევასრულოთ.

პარალელურად იგეგმება მილების სერტიფიცირება. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა მივაღწიოთ ხარისხის იმ დონეს, რაც ჩვენს მილებს მიაღებინებს საერთაშორისო სტანდარტების, კერძოდ კი, ამერიკის ნავთობის ინსტიტუტის სერტიფიკატს. სერტიფიკატი დგება ლითონის მექანიკური და ფიზიკური თვისებების, აგრეთვე, მილების გეომეტრიული პარამეტრების საფუძველზე.

წლის ბოლოს გათვალისწინებულია კომბინატის ხელმძღვანელობის ვიზიტი იტალიაში შესაფერისი ღუმელის შესარჩევად. ამ კომპლექსის პროექტის ღირებულება 40 მილიონ დოლარს აღემატება, აქედან 30-32 მილიონი მოწყობილობებზე დაიხარჯება. ელექტროფოლადსადნობი და სხვა მოწყობილობები დამზადდება და პარალელურად დამონტაჟდება 2 წლის განმავლობაში. ეს პროცესი მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მქონე საინჟინრო ორგანიზაციების მოწვევას. მონტაჟი განხორციელდება დამამზადებლების ხელშეწყობით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი სპეციალისტები.

— დაახლოებით, რამდენი კაცი დასაქმდება ერთ წელიწადში?

— ჯერჯერობით, მარტო ათასი კაცი მხოლოდ მშენებლობაზე დასაქმდება, ხოლო მილების საწარმოებლად უკვე დაკავებულია, დაახლოებით, 1200 ადამიანი.

საუბარში ჩვენ არ შევეხებივართ იმ ბიზნეს-გეგმას, რომლითაც გათვალისწინებულია ბრძმედის, აგროფაბრიკისა და კოქსქიმიური საამქროს ამოქმედება. ეს დიდი დამოუკიდებელი პროექტია, მაგრამ რეალური და მისი განხორციელება უკვე დაიწყო.

გივი ჯახუა,
„სრ" საკ. კორ.

ენერგეტიკა

(პირველი გვერდიდან)

ამიტომაც ქართველებმა კარგად უნდა გავიცნობიეროთ, რომ ჩვენი სახელმწიფოსთვის, მისი ეკონომიკისთვის ჰიდროენერგეტიკული რესურსები იგივეა, რაც კუვეიტისთვის ნავთობი, ხოლო თურქმენეთისთვის — ბუნებრივი გაზი.

ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი ამოუწურავი, მუდმივად განახლებადი და ეკოლოგიურად გაცილებით უვნებელია, ვიდრე სხვა სათბობით მიღებული ენერგია.

ესეც უმნიშვნელოვანესი ფაქტია. თუ რატომ, ამას ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ.

მანამდე კი ვიტყვი, რომ ამ სიმდიდრის გონივრულად, გეგმაზომიერად გამოსაყენებლად სახელმწიფომ, ქვეყნის მმართველმა ძალამ ჰიდროენერგეტიკული დარგი უნდა აღიაროს პრიორიტეტულად და შეადგინოს მისი განვითარების მრავალწლიანი პროგრამა.

ქართველ სპეციალისტებს ასეთ პროგრამაზე უკვე საკმაოდ სერიოზულად აქვთ ნაფიქრი.

როგორც ენერგოგენერაციის ჰიდროტექნიკური განყოფილების უფროსი სიმონ ბახტურიძე მიდასტურებს, ასეთი სახელმწიფო პროგრამის შექმნა აუცილებელია, რათა მოწესრიგდეს და უფრო შედეგიანი გახდეს სხვადასხვა საკონსულტაციო, დონორი თუ საფინანსო ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც ამჟამად საკმაოდ უეფექტოდ მიმდინარეობს.

პროგრამა, როგორც ბატონი სიმონი აღნიშნავს, კრიზისის დაძლევის მოკლევადიან და დარგის განვითარების ოცწლიან პერიოდს უნდა მოიცავდეს.

პირველ ექვსთვიან პერიოდში, იმისათვის, რომ შემდგომ შესაძლებელი გახდეს დარგის ერთიანი რაციონალური მართვა, უნდა განხორციელდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია და გამოიკვეთოს პასუხისმგებელი რგოლი, რომელიც ამ პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას შეძლებს.

ისევე, როგორც პრეზიდენტის ბრძანებულებით იყო განსაზღვრული ენერგოობიექტების აქციების წილი —10 პროცენტი (იგი შეიძლება გაიზარდოს კიდეც), განაწილდეს შრომითი კოლექტივზე.

ეს ნაბიჯი დარგში მართვის დემოკრატიულ პრინციპებს დაამკვიდრებს და, რაც მთავარია, ყველა ენერგოობიექტს გაუჩნდება კონკრეტული პატრონი, რაც ბოლს მოუღებს ფინანსურ განუკითხაობას.

12-14-თვიან პერიოდში საჭიროა შემუშავდეს და ამოქმედდეს კანონებისა და საგადასახადო ნორმების ისეთი პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული ენერგოობიექტების რეაბილიტაციასა და ახალი მცირე თუ დიდი სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობის დაჩქარებას, მოშლის ამჟამად არსებულ ბიუროკრატიულ ბარიერებს და გაზრდის ობიექტების საინვესტიციო მიმზიდველობას.



უდიდესი რეზერვი, რომელიც გონივრულად უნდა გამოვიყენოთ

ამ პროექტების განხორციელება ქვეყანას უდიდეს სიკეთეს მოუტანს

სათანადო საინვესტიციო პირობებში, განმარტავს ბატონი სიმონი, სრულიად რეალურია, რომ ეს გაკეთდეს საქართველოს მხრიდან მხოლოდ 20-30-პროცენტიანი თანადაფინანსებით.

ამ სამწლიან პერიოდში უნდა აშენდეს 700-800 მეგავატი საერთო სიმძლავრის თბო და ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა წლიური გამომუშავება 3,5 მილიარდ კილოვატსაათს გადააჭარბებს.

მკაცრი კონტროლით უნდა წარიმართოს და უმოკლეს ვადაში დამთავრდეს ენგურჰესის, ვარდნილჰესის, ხრამი-2 და ლაჯანურჰესის რეაბილიტაცია, სხვა ჰესების ტექნიკურად გამართვა იმ დონემდე მაინც, რომ წყალი უქმად არ დაიღვაროს.

სასწრაფოდ უნდა დასრულდეს საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის 500-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის მშენებლობა.

ამ სამუშაოების შესრულება სამწლიან პერიოდში, — აღნიშნავს ბატონი სიმონ ბახტურიძე, — თავისუფლად მოესწრება და ქვეყნის ენერგოსისტემას 5 მილიარდ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია შეემატება, რითაც დაიძლევა კიდეც ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტი.

ამავე დროს უნდა მოწესრიგდეს სადისტრიბუციო სექტორი, დადგინდეს რეალური, ჭეშმარიტი ტარიფი იმგვარად, რომ რეალიზებული ელექტროენერგიის ამოღებამ 90 პროცენტს გადააჭარბოს. საამისოდ საიმედო და ნაცადი მექანიზმი სადისტრიბუციო კომპანიების აქციების ნაწილის თანამშრომლებისთვის გადაცემა გახლავთ.

12-14 თვის განმავლობაში ასევე უნდა დამთავრდეს პრივატიზაციის პროცესიც. სახელმწიფომ სამართავად დაიტოვოს დარგის ყველა ენერგოობიექტის აქციების საკონტროლო პაკეტი, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებისა. ნაწილი გადაეცეს შრომით კოლექტივებს, ხოლო დარჩენილი ნაწილი მომზადდეს გასაყიდად.

ამ ენერგოობიექტების აქციათა გაყიდვიდან შემოსული თანხები უნდა მოხმარდეს ახალი ელექტროსადგურების მშენებლობას, ინვესტორებთან ერთად ზემოთ ნახსენებ 30-პროცენტიან თანადაფინანსებას.

ამ გზით უახლოეს 20 წელიწადში აშენდება ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა სიმძლავრე მიაღწევს 14-15 ათას მეგავატს, ხოლო წლიური გამომუშავება — 60 მილიარდ კილოვატსაათს.

ელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად ჰარმონიულად უნდა გაფართოვდეს ელექტროგადამცემი ხაზები, როგორც სამხრეთის ისე ჩრდილოეთის მიმართულებით, რათა საქართველოს ენერგოსისტემამ უპრობლემოდ გაიტანოს ქვეყნიდან როგორც თავის მიერ წარმოებული, ისე ტრანზიტით შემოსული ენერგია.

— ეს პროგრამა რეალურია, — დაბეჯითებით მიდასტურებს ბატონი სიმონ ბახტურიძე, ჰიდრორესურსების მხრივ ჩვენი დარი ქვეყანა ნორვეგია, როგორც ცნობილია, ელექტროენერგიას (28 ათას მეგავატს წელიწადში, 120 მილიარდ კილოვატსაათს), მთლიანად ჰიდროელექტროსადგურებზე გამოიმუშავებს.

სსრკ-ის ერთიანი ენერგოსისტემის დაშლის შემდეგ დარგის სტრუქტურული რეორგანიზაცია და რეფორმა წარმატებულად განახორციელა უკრაინამ. ენერგოსისტემის კრიზისის დაძლევა და სადისტრიბუციო მეურნეობის გამართვა საკუთარი ძალით შეძლო სომხეთმა. რაციონალურ სატარიფო პოლიტიკას ახორციელებს აზერბაიჯანი.

კანონების დახვეწითა და რაციონალური საგადასახადო ნორმების შემოღებით ბოლო პერიოდში ენერგეტიკული დარგის განვითარების კარგი პირობები შექმნეს ჩინეთმა და თურქეთმა.

გასათვალისწინებელი და ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ზემოთ ნახსენებ ქვეყნებთან შედარებით საქართველოს გაცილებით ხელსაყრელი პირობები აქვს როგორც ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ისე მათი ექსპლუატაციის, რეექსპორტისა თუ საკუთარი ენერგიის რეალიზაციის განხრით.

ამას პიკის საათებში ჩვენი ჰესების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდის შესაძლებლობაც ემატება, პიკური ენერგია კი გაცილებით ძვირად ფასობს, ამიტომ ასეთი ჰესების ფართო ფრონტით მშენებლობისთვის ინვესტიციების მოზიდვაც ადვილია. ამ და სხვა გარემოებათა გამო ჰიდროენერგია არის და მომავალში კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახდება საერთაშორისო ბაზარზე, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და იაფი ენერგია.

მსოფლიოში დღეს ეკოლოგიურად სუფთა ენერგიას კიდევ იმით ედება ფასი, რომ 1997 წლის კიოტოს ხელშეკრულებით ის ქვეყნები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ატმოსფეროში CO_2-ის შემცირებას, შეძლებენ თავიანთი კვოტების გაყიდვას და მას შეიძენენ ის ქვეყნები, — აშშ, იაპონია, კანადა, ევროკავშირი — რომლებიც თავიანთი თბოენერგეტიკით ძალიან აჭუჭყიანებენ გარემოს და არ აპირებენ წარმოების შემცირებას.

საქართველოს ჰიდროენერგეტიკის პერსპექტივა ამ 20-წლიან პერიოდში 60 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს, რაც 20 მილიონი ტონა პირობითი საწვავის დაზოგვისა და ატმოსფეროში 40 მილიონი ტონა CO_2-ის შემცირებას გამოიწვევს.

საერთაშორისო ექსპერტთა აზრით 2005-08 წლებში ერთი ტონა CO_2-ის ფასი 100 აშშ დოლარი იქნება. აქედან გამომდინარე საქართველოს შეეძლება 4 მილიარდი დოლარის (40 მილიონი გავამრავლოთ 100 დოლარზე) კვოტა გაყიდოს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი თავისი კვოტებით უკვე ვაჭრობს. საუბარია 60 მილიონ დოლარზე.

როგორც ვხედავთ, ჰიდროენერგეტიკის დარგი საქართველოს ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი მძლავრი და საიმედო ბერკეტი გახდება. ამიტომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელებას უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს, რითაც ქართველ ხალხს უდიდეს სამსახურს გაუწევს.

შოთა მაჭარაშვილი.

კონტაქტები

ახალი სასურსათო პროგრამა

შარშან, აპრილში, საქართველოს ეწვია მსოფლიო სასურსათო პროგრამის (WFP) სპეციალური მისია, რომელმაც, გაითვალისწინა რა არასტაბილურობის დონე და ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობა, მიზანშეწონილად მიიჩნია ჰუმანიტარული დახმარებისა და აღდგენის ოპერაციის გაგრძელება, რომლის დროსაც მეტი ყურადღება დაეთმობა სასოფლო თემის მონაწილეობას მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნაში.

ოქტომბერში აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა ეს პროგრამა და აი, გუშინწინ, „მერატონ-მეტეხი პალასში", საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა დავით კირვალიძემ და მსოფლიო სასურსათო პროგრამის (WFP) საქართველოს ოფისის დირექტორმა ქალბატონმა პიპა ბრედფორდმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების ხელშეკრულებას საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამას შორის. ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, გაეროს სააგენტოების, საერთაშორისო სააგენტოების, დიპლომატიური კორპუსისა და მასმედიის წარმომადგენლები.

— ეს არის მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, დასტური იმისა, რომ გაგრძელდეს მსოფლიო სასურსათო პროგრამის მუშაობა საქართველოში, — განაცხადა ქალბატონმა ბრედფორდმა და განაგრძო: სულმოუთქმელად ველი იმ დღეს, როცა საქართველოს, ქართველ ხალხს ჰუმანიტარული დახმარება საერთოდ აღარ დასჭირდება. მწამს, რომ ასეთი დრო მალე დადგება, რადგან ამ ქვეყანას აქვს უდიდესი პოტენციალი იმისა, რომ მუშაობდეს და ქმნიდეს პროდუქციას.

ხელშეკრულების პირობების თანახმად მსოფლიოს სასურსათო პროგრამა 2003 წლიდან სამი წლის განმავლობაში 50493 ტონა სურსათს გაუნაწილებს 209500 სოციალურად დაუცველ ადამიანს საქართველოში. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 23 მილიონ აშშ დოლარითაა განსაზღვრული. ოპერაციის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ჰუმანიტარული დახმარებისა და „სურსათი სამუშაოსათვის" პროექტების განხორციელებით თავისი წვლილი შეიტანოს გარდამავალ ეტაპზე ეროვნული აღმშენებლობის პროცესში, რაც ხელს შეუწყობს სამეწარმეო კაპიტალის შენარჩუნებას და გააუმჯობესებს გრძელვადიანი სტრუქტურული რეფორმების პერიოდს.

გახანგრძლივებული ჰუმანიტარული დახმარებისა და აღდგენის ოპერაციის მოკლევადიანი **იმ სასოფლო-სამეურნეო და სოციალური ინფრასტრუქტურის აღდგენა-შექმნა, რომელიც შემდგომში შენარჩუნებული და გამოყენებული იქნება სოციალურად დაუცველი ოჯახების საკეთილდღეოდ.**

გარდა ამისა, იქნება ჰუმანიტარული დახმარება ხანდაზმულთა და საზოგადოების სხვა სოციალურად დაუცველი ფენებისათვის (რომელთა უმრავლესობა ქალებია), რომელთაც არაადეკვატური სახელმწიფო პენსიების გარდა, სხვა შემოსავალი არ გააჩნიათ და აგრეთვე, პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილებისთვის საარსებო სასურსათო მინიმუმის უზრუნველყოფა.

„სურსათი სამუშაოსათვის" პროექტები განხორციელდება საქართველოს უღარიბეს ხუთ რეგიონში — კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში. პროექტი განხორციელდება, აგრეთვე, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში, სადაც სიტუაცია ასევე მძიმეა დიდი რაოდენობით იძულებით ადგილნაცვალ პირთა თავმოყრის გამო.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა დავით კირვალიძემ მადლობა გადაუხადა სასურსათო პროგრამის მისიის ხელმძღვანელობას და გამოთქვა რწმენა, რომ ამ დახმარების შედეგად თითოეული სოციალურად დაუცველი პირი სტაბილურად მიიღებს დახმარებას სურსათის სახით.

— ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მალე დავძლიოთ კრიზისული მდგომარეობა და შევქმნათ დოვლათი, რათა ჰუმანიტარული დახმარება აღარ გახდეს აუცილებელი ჩვენი მოსახლეობისათვის, — დასძინა მინისტრმა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ.

ნაზი იმნაიშვილი.



პროდუქციის მესამედი ექსპორტირებულია

წლევანდელი ათი თვის განმავლობაში ქვეყნის სამრეწველო საწარმოებმა საექსპორტოდ გადაგზავნეს 396,5 მილიონი ლარის პროდუქცია. ექსპორტის ხვედრითმა წილმა წარმოებული პროდუქციის მესამედს მეტი შეადგინა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს სამრეწველო სექტორში აღრიცხულ 3156 საწარმოდან მოქმედი იყო 2891.

ისევ — ჰუმანიტარული

ევროკომისიის განცხადებით, ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების ოფისმა 2003 წლის ბიუჯეტიდან საქართველოსათვის 2,2 მილიონი ევროს ოდენობის ჰუმანიტარული დახმარება გამოყო.

ზემოაღნიშნული დახმარების პროგრამა, რომელიც აფხაზეთსა და სამეგრელოს რეგიონებში განხორციელდება, სამი კომპონენტისაგან შედგება: „წითელი ჯვრის" ეგიდით მოქმედი უფასო სასადილოების დაფინანსება, მოხალისეების მშრალი საკვები პროდუქტებით დახმარება და პროექტის — „საკვები მუშაობისათვის" განხორციელება.

ბიბლიოთეკებს გაახსენდათ

საზოგადოებრივი თანამშრომლობისა და გარემოს დაცვითი ინფორმაციის მოპოვების გაუმჯობესების მიზნით, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ეკოლოგიურმა რეგიონალურმა ცენტრმა ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ქსელის შექმნას.

ამჟამად მზადდება ელექტრონული ვებ-გვერდი, რომელშიც განთავსდება კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის შესახებ საბაზო ინფორმაციები.

პროექტი აღნიშნული რეგიონების მოსახლეობას გარემოსდაცვითი განათლების მიღებაში დაეხმარება.

პატიმრები ციხეში რჩებიან

ისინს სამხედრო ნაწილში მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილი 11 ჯარისკაცის პატიმრის პროცესი მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ პროკურორის გამოუცხადებლობის მოტივით 2 დეკემბრისთვის გადადო. პატიმრების ადვოკატები მათთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას სხვა უფრო მსუბუქი ფორმით მოითხოვენ.

პროცესი 2 დეკემბერს 16 საათზე განახლდება. ამ საკითხს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილი განიხილავს. დღეს პატიმრები სასამართლოში არ მოუყვანიათ.

23 მარტს ისინს სამხედრო ნაწილში დისლოცირებულ ბაზაზე 14 ჯარისკაცი პატიმარი შეიჭრა. მათი ძირითადი მოთხოვნა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო.

ადამიანის მსხვერპლით

წუხელ იმერეთის საგზაო მაგისტრალზე ორი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა და ორივე — მსხვერპლით.

გარდაბანში მცხოვრებმა ავთანდილ მჭედლიშვილმა, რომელიც „ოპელის" მარკის ავტომანქანას მართავდა, ვერ უზრუნველყო მართვა და ქვეითად მოსიარულე 53 წლის იგნა ლანჩავას დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

მეორე შემთხვევა ზესტაფონის რაიონის სოფელ წევასთან მოხდა. ხაშურიდან ქუთაისში მიმავალი „ფორდის" მარკის მიკროავტობუსი საპირისპირო მიმართულებით მომავალ „ფორდტრანზიტს" დაეჯახა. „ფორდტრანზიტის" მგზავრი მიღებული ტრავმების შედეგად რამდენიმე წუთში გარდაიცვალა.

სოფელ ზედა საქარაში გვამი იპოვეს

ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარაში 47 წლის მურაზ არაბულის გვამი მეზობლებმა მის ბინაში იპოვეს.

სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ საქმე თვითმკვლელობასთან აქვთ.

ინფორმაციები მოამზადეს: ინტერ-პრესმა, საქინფორმმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 322, შაბათი, 29 ნოემბერი, 2003 წელი.

• ჯორჯ ბუშის მოულოდნელი ვიზიტი ბაღდადში
• ევროკავშირის კონსტიტუცია: ახლოვდება ჭეშმარიტების მომენტი
• რას წერენ საქართველოზე

ამერიკის პრეზიდენტი ბაღდადში თავისი ინდაურით ჩავიდა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დაბრუნდა სამშობლოში ბაღდადში მოულოდნელი ვიზიტის შემდეგ, სადაც მან ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად აღნიშნა ამერიკის ეროვნული დღესასწაული — მადლიერების დღე.

პრეზიდენტმა საიდუმლოდ დატოვა ოთხშაბათ საღამოს თავისი რანჩო ტეხასში, ხუთშაბათს ჩაფრინდა ერაყში და დაახლოებით ორსაათნახევარი დაჰყო ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებთან.

„მე მსურს გადმოგცეთ საუკეთესო სურვილები ამერიკელთა სახელით. დიდად გემადლიერებით თქვენი სამსახურის გამო და ვამაყობ თქვენით. ამერიკა მუდამ თქვენს გვერდით იდგება", — განუცხადა ბუშმა ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტში შეკრებილ ექვსასამდე ამერიკელ ჯარისკაცს.

როგორც იტყობინებიან, ბუშმა უარი თქვა ოჯახის წრეში ტრადიციულ ვახშამზე და გადაწყვიტა მოულოდნელად სწვეოდა ბაღდადს. ეს ვიზიტი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირველი ჩასვლა ერაყში.

82-ე საავიაციო დივიზიის და ჯავშანსატანკო ჯარების პირველი დივიზიის ჯარისკაცები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათ სტუმრად ეწვეოდათ პრეზიდენტი ბუში. ერაყში დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა პოლ ბრემერმა ჯარისკაცებს განუცხადა, რომ იგი წაუკითხავდა პრეზიდენტის მიმართვას მადლიერების დღესთან დაკავშირებით, თუმცა, შემდეგ დასძინა, რომ ამას სხვა, უფრო მაღალი თანამდებობის პირი გააკეთებდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა პრეზიდენტი ბუში, რომელსაც ეცვა ჯავშანსატანკო ჯარების I-ლი დივიზიის სამხედრო მოსამსახურის ფორმა. ჯარისკაცები მას ოვაციით შეხვდნენ.

„მე, უბრალოდ, მსურდა მევახშმა მეგობრების წრეში, — თქვა ბუშმა. — გმადლობთ მოწვევისათვის. მადლიერების დღეს ვახშმობისათვის უკეთეს კომპანიას ვერცკი წარმოვიდგენდი".

ბაღდადში ფრენისათვის მზადება მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. ამ ვიზიტის შესახებ იცოდნენ მხოლოდ პრეზიდენტის უახლოესმა თანამოსაგრეებმა. თვით პრეზიდენტის მეუღლემ — ლაურა ბუშმა — მისი ქმრის მომავალი მოგზაურობის შესახებ მხოლოდ სამშაბათს თუ ოთხშაბათს შეიტყო.

კოფი ანანი: მსოფლიო მარცხდება შიდსთან ომში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, რომ კაცობრიობა მარცხდება შიდსთან გამოცხადებულ ომში.

შიდსის პროფილაქტიკის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი პროექტის ფარგლებში კოფი ანანმა ინტერვიუ მისცა ბი-ბი-სის. მან მკაცრად გააკრიტიკა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიდერების მოქმედება და მოუწოდა განვითარებადი ქვეყნების ხალხებს უფრო მეტი ზემოქმედება მოახდინონ თავიანთ მთავრობებზე.

ამჟამად მსოფლიოში ყოველწლიურად 40 მილიონი კაცი ხდება აიდ-ინფიცირებული, 3 მილიონი კი კვდება შიდსისგან. გაეროს გენერალური მდივანი ვერ ფარავს თავის იმედგაცრუებას როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნების ლიდერების მოქმედების გამო.

განვითარებულმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს გამოეყოთ რესურსები, რომლებიც საჭიროა სამკურნალწამლო საშუალებათა შესყიდვის, შიდსის აღმოჩენა-პროფილაქტიკისათვის გამიზნული პროგრამების ამოქმედებისა და ექიმებისა და მედდების სწავლებისათვის.

როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, მსოფლიოში მრავალი ადამიანისათვის შიდსი იქცა მასობრივი განადგურების იარაღად კოფი ანანის თქმით, უსამართლობად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მდიდარ ქვეყნებში უმკლავდებიან შიდსს, ღარიბ სახელმწიფოებში კი ეს დაავადება ადამიანებისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი ხდება.

ამიტომ, კოფი ანანმა ძალზე მკაცრად გააკრიტიკა ზოგიერთი აფრიკული სახელმწიფოს ლიდერები, რომლებიც სამარცხვინოდ მიიჩნევენ თავიანთ ქვეყნებში შიდსის პრობლემების განხილვას და ადამიანებს წირავენ სასიკვდილოდ მხოლოდ იმიტომ, რომ რცხვენიათ მოსახლეობას მოუწოდონ პრეზერვატივებისა თუ ზოგიერთი სხვა პროფილაქტიკური საშუალებების გამოყენებისათვის.

დაპატიმრებები ბრიტანეთის ქალაქებში

ბრიტანეთის პოლიცია განაგრძობს „ალ-ყაიდას" ტერორისტულ დაჯგუფებასთან კავშირში ეჭვმიტანილი პირის დაკითხვას.

ხუთშაბათს ქალაქ გლოსტერში 24 წლის მამაკაცის დაპატიმრების შემდეგ, იმ უბნის 119 სახლიდან გამოხიზნეს მცხოვრებლები, რომელშიც დააკავეს ეს პირი. მოგვიანებით, პოლიციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ დაპატიმრებულის ბინაში იპოვეს ასაფეთქებელი მოწყობილობა. რამდენიმე საათის შემდეგ ქალაქის ამ უბნის მცხოვრებლებს ნება დართეს დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში.

დაპატიმრებამდე ამ პირს კარგა ხანს უთვალთვალებდნენ ბრიტანეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები.

პოლიცია იძიებს გლოსტერში დაპატიმრებულ პირსა და რიჩარდ რიდს შორის სავარაუდო კავშირის არსებობას, რომელიც 2001 წლის დეკემბერში ცდილობდა ფეხსაცმელში დამალული ასაფეთქებელი მოწყობილობის მეშვეობით აეფეთქებინა ამერიკისაკენ მიმავალი სამგზავრო თვითმფრინავი.

ბრიტანეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები სერიოზულად არ მიიჩნევენ გავრცელებულ ხმებს იმის თაობაზე, თითქოს გლოსტერში დაკავებული პირი გეგმავდა ბომბის აფეთქებას საფეხბურთო მატჩის დროს, ან თავდასხმას სამეფო ოჯახის რომელიმე წევრზე.

და მაინც, დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა დევიდ ბლანკეტმა ბი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ჩვენ არ მივმართავდით ასეთ ზომებს, თუ არ გვქონოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს კაცი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ქვეყანას".

ასევე ხუთშაბათს ქალაქ მანჩესტერში დააკავეს 39 წლის მამაკაცი, რომელიც ტერორისტულ საქმიანობაშია ეჭვმიტანილი.

პოლიციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გაჩხრიკეს ორი სახლი ლანკაშირის საგრაფოს ქალაქ ბლეკბერგში. ჩხრეკაში პოლიციელებთან ერთად სამხედროებიც მონაწილეობდნენ. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ამ შემთხვევაში საქმე არ ეხებოდა ქიმიური, ბაქტერიოლოგიური ან რადიაქტიული ნივთიერებების ძებნას.

ლესოთოში იპოვეს 215-კარატიანი ალმასი

ლესოთოში ნაპოვნია ორი დიდი ალმასი, რომელთა სავარაუდო ღირებულება რამდენიმე მილიონ დოლარს უნდა შეადგენდეს.

როგორც ქვეყნის დედაქალაქ მასერუდან იტყობინებიან, ერთ-ერთი ალმასის წონა 215 კარატია და იგი 11 მილიონ რანდადაა შეფასებული (დაახლოებით 1,7 მილიონი ამერიკული დოლარი). მეორე ალმასი 95-კარატიანია, მაგრამ, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ამ ალმასის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, მისი ფასი, შესაძლოა უფრო მეტიც იყოს.

ალმასები იპოვეს მსოფლიოში ყველაზე მაღალმთიანი ლეტსენგის მაღაროში. ამ მაღაროს არსებობის 50 წლის განმავლობაში იქ მრავალი გიგანტი კრისტალია ნაპოვნი, მათ შორის სამი ალმასის წონა 500 კარატს აღემატებოდა.

ახლა, ალმასის ფასების მატების კვალობაზე, ლესოთოს ხელისუფლებას მაღაროს აღორძინების იმედი აქვს. ლეტსენგის მარაგსაც გეოლოგები 100 მილიონ ტონა კიმბერლიტად აფასებენ, რომელსაც 2,3 მილიონ კარატზე მეტი ალმასის მოცემა შეუძლია.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები ცდილობენ შეთანხმებას

იტალიის ქალაქ ნეაპოლში პარასკევს გაიხსნა ევროპის კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების ორდღიანი შეხვედრა. მინისტრები ეცდებიან დაძლიონ ის უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნა ევროპის მომავალი კონსტიტუციის თაობაზე.

დიდმა ბრიტანეთმა და სხვა ქვეყნებმა უკვე გააკრიტიკეს დოკუმენტის კომპრომისული ტექსტი, რომელიც წარმოადგინა იტალიამ — მიმდინარე წლის დამლევამდე ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანამ.

სულ უფრო მცირე იმედი რჩება იმისთვის, რომ ბრიუსელში დანიშნულ ევროკავშირის დეკემბრის სამიტზე მოხერხდება კონსტიტუციის მიღება. ორი კვირა რჩება იმ მომენტამდე, როცა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა უნდა მოიწონონ გაერთიანებული ევროპის პირველი კონსტიტუცია. თუმცა, ნეაპოლის გენერალურ რეპეტიციაზე საგარეო საქმეთა მინისტრების განწყობილებას საზეიმოს ვერ ვუწოდებთ.

ევროკომისია აცხადებდა, რომ მორიგების მიღწევა ვერ მოხერხდა, ჯერჯერობით ევროკავშირის წევრი თითქმის ყოველი ქვეყანა ცდილობს საკუთარი მოთხოვნების წამოყენებას. დოკუმენტის ეგრეთ წოდებული „იტალიური ვარიანტი" ხელს აძლევს დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთს, რადგან მასში ხაზგასმულია, რომ ევროპის თავდაცვის სისტემები არ მოახდენს გავლენას ნატოს წინაშე ქვეყნების მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე.

მაგრამ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ აღნიშნა, რომ გაილაშქრებს იტალიის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს საგარეო პოლიტიკის საკითხებში კავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყნისათვის ვეტოს უფლების გაუქმებას.

გარდა ამისა, დოკუმენტის „იტალიურ პროექტში", უბრალოდ გამოტოვებულია ორი ურთულესი პრობლემა, რამაც ერთმანეთს დაუპირისპირა ერთი მხრივ გერმანია და საფრანგეთი, მეორე მხრივ კი — ესპანეთი, პოლონეთი და პრაქტიკულად ევროკავშირის ყველა სხვა დანარჩენი წევრი. საქმე ეხება გაფართოების პროცესში მყოფ ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღების დროს ხმათა განაწილებასა და ევროპის კომისიის წევრთა რაოდენობას.

ასე რომ, მკაფიოდ გამოიკვეთა ის საკითხები, რომელთა ირგვლივაც გაჩაღდება მწვავე კამათი ბრიუსელის დეკემბრის სამიტზე, და ვერავინ შეძლებს იმის თქმას, თუ რა შედეგით დასრულდება ყოველივე ეს.

დაიანას საქმე: პაპარაცები ელიან ვერდიქტს

პარიზის სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება სამი ფრანგი რეპორტიორის საქმის შესახებ, რომლებსაც ბრალად ედებათ პირად ცხოვრებაში შეჭრა.

ეს ფოტორეპორტიორები ავტომობილებით გამოედევნენ პრინცესა დაიანას და დოდი ალფაიედს, რომლებიც ექვსი წლის წინათ დაიღუპნენ საავტომობილო კატასტროფაში, და ამ ტრაგიკული ავარიის შემდეგაც განაგრძობდნენ ავტომანქანის სალონისა და ავარიაში დაღუპულთა ფოტოგადაღებას.

სასამართლომ უკვე უარყო ხუთი სხვა რეპორტიორის წინააღმდეგ აღძრული სარჩელები, რომლებიც იმყოფებოდნენ ავტოკატასტროფის ადგილზე.

პროცესი მიმდინარეობს სამოქალაქო სარჩელის გამო, რომელიც აღძრა დოდის მამამ — მოჰამედ ალ-ფაიედმა. მისმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ფოტორეპორტიორებს ადანაშაულებენ დაიანასა და დოდის დევნაში. მან მოითხოვა, რომ ამ პირებს დააკისრონ სიმბოლური ჯარიმა — 1 ევროს გადახდა.

თუმცა, დაცვის ადვოკატები პროცესის დროს ამტკიცებდნენ, რომ დაიანა და დოდი აქტიურად ცდილობდნენ მიეპყროთ პრესის ყურადღება. მათ იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ ავარიის დროს გადაღებული ფოტოსურათები არ გამოუქვეყნებიათ.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც უნდა გადაეჭრათ, საქმის სასამართლო მოსმენის დროს, იყო საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ავტომობილის სალონი, რომლითაც დაიანა და დოდი მგზავრობდნენ, კერძო ტერიტორიად.

მანამდე იყო მცდელობა, რომ განსასჯელები დაედანაშაულებინათ არაგანზრახ მკვლელობაში, რადგან მათ კატასტროფის მომენტში დაზარალებულებს არ აღმოუჩინეს გადაუდებელი დახმარება.

საქართველო და გარესამყარო

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

ამერიკულმა „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნმა" „საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მიუძღვნა სტატია „გადატრიალება საქართველოში — რეგიონში ახალი ეტაპის დასაწყისი", რომელიც გაზეთ 27 ნოემბრის ნომერშია გამოქვეყნებული. „Human Right Watch" ორგანიზაციის ევროპისა და აზიის განყოფილების აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი რეიჩელ დენბერი ამ სტატიაში წერს:

„საქართველოში მიმდინარე დრამატულმა, მაგრამ უსისხლო მოვლენებმა, როგორც ჩანს, შეაშფოთა ავტორიტარული ლიდერები მთელს რეგიონში. ყოველივე ამის შედეგად წარმოიქმნა იმის საშიშროება, რომ შუა აზიისა და კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა. შესაძლოა, დააჩქარონ პოლიტიკური რეპრესიები, რათა თავიდან აიცილონ მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარება.

საქართველოში პოლიტიკურმა ოპოზიციამ უარი თქვა მიეღო უხეშად გაყალბებული არჩევნების შედეგები. მართალია, მრავალი დასავლელი მეთვალყურე ედუარდ შევარდნაძის სახელს დღემდე უკავშირებს იმ ლიბერალურ რეფორმებს, რომლებსაც იგი აქტიურად იცავდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს, მაგრამ სინამდვილეში, მისი ხელისუფლება იყო მკაცრი და კორუმპირებული, თვით შევარდნაძე კი აბსოლუტურად არაპოპულარული გახდა.

და მაინც, შევარდნაძის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკურმა რეფორმებმა ქვეყანაში აყვავების შესაძლებლობა მისცა მასობრივი ინფორმაციის თავისუფალ საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ფართო საზოგადოებრიობამ შეიტყო არჩევნების შედეგების გაყალბების შესახებ. აზერბაიჯანის ხელისუფლება კი, პირიქით, სრულ კონტროლს უწესებდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ერთი თვის წინათ გამართული არჩევნების შედეგების გაუქმებას.

პრინციპში, შუა აზიასა და კავკასიაში ძნელად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, რომელშიც ეუთო — იგი ახორციელებდა რეგიონში არჩევნების მონიტორინგს — მიიჩნევდა, რომ ეს კამპანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაიმართა. უზბეკეთში არჩევნები, მაგალითად, ისეთი ფარსია, რომ ეუთო არცკი ადევნებს მათ თვალ-ყურს.

მალე რეგიონის სხვა სახელმწიფოებშიც უნდა გაიმართოს ახალი კენჭისყრები. ყაზახეთში 2004 წლისათვის დანიშნულია პარლამენტის არჩევნები, ყირგიზეთში კი 2005 წელს აირჩევენ პრეზიდენტს. საქართველოში მომხდარი „ხავერდოვანი რევოლუციის" შიშით, ამ ქვეყნების ხელისუფალთ შეუძლიათ შეანელონ პოლიტიკური რეფორმების პროცესი და გააძლიერონ ზემოქმედება ოპოზიციაზე. არჩევნების დროს მოსალოდნელია ქუჩებში ჯარების გამოყვანა, როგორც ეს მოხდა აზერბაიჯანში.

ყველა ეს ქვეყანა არის ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მოკავშირე, როგორც ტერორის წინააღმდეგ გამოცხადებულ გლობალურ ომში, ისე ამერიკელთა სურვილში, გამონახონ ახლო აღმოსავლეთის ენერგომატარებლების ალტერნატიული წყაროები. ვაშინგტონი რეგიონის ქვეყნებს ყოველთვის მოუწოდებდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გამართვისათვის. მაგრამ, ხშირად იგი არ ახდენდა სათანადო ზემოქმედებას იმ მთავრობებზე, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ დემოკრატიულ გარდაქმნებს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აზერბაიჯანში, ამ ცოტა ხნის წინათ, გამართული არჩევნები.

მაგრამ ეს არ ეხება საქართველოს. ბუშის ადმინისტრაციამ იქ გაგზავნა მაღალი თანამდებობის პირები, რათა წინასწარ მიეღოთ იმის გარანტია, რომ მომავალი არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იქნებოდა. ვაშინგტონმა წინასწარ გაილაშქრა ნებისმიერი გაყალბების წინააღმდეგ. ამან ოპოზიციას მისცა შესაძლებლობა საქართველოს ხელისუფლების ქმედება გამოეცხადებინა არაკანონიერად, რამაც მისცა კიდეც დასაბამი უსისხლო გადატრიალების დაწყებას.

ახლა, როცა რეგიონში ახლოვდება ახალი არჩევნები, ამერიკამ უნდა გამოიტანოს სათანადო დასკვნები საქართველოში მომხდარი მოვლენებიდან. მან მტკიცედ უნდა დაუჭიროს მხარი სამართლიანი არჩევნების გამართვას და არაორაზროვნად მიანიშნოს, რომ არჩევნების შედეგების გაყალბება გამოიწვევს სერიოზულ დიპლომატიურ და ფინანსურ შედეგებს. ასევე არ უნდა დაივიწყოს შეერთებულმა შტატებმა აზერბაიჯანიც. საერთაშორისო კომისიის შემადგენლობაში, რომელიც იძიებს იქ გამართული არჩევნების დროს არსებულ დარღვევებს, საერთაშორისო ექსპერტები უნდა შეიყვანონ.

შუა აზიასა და კავკასიაში დემოკრატიის დამყარება ძალზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტის დროც დადგა", — ხაზგასმულია სტატიაში.

„რუსეთის აჩრდილი საქართველოში"

ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ ტაიმსი" ამ სათაურით აქვეყნებს 27 ნოემბრის ნომერში მარგინ საიფის სტატიას. პუბლიკაციაში კერძოდ ხაზგასმულია:

საქართველოში მოხდა უსისხლო „ხავერდოვანი რევოლუცია", რომელმაც დაამხო პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. საქართველოს მეთაურის ფუნქციების შესრულება დროებით იკისრა ნინო ბურჯანაძემ, რომელიც აღნიშნავს, რომ სურს იქონიოს მჭიდრო კავშირი რუსეთთან და ესწრაფვის აღადგინოს ახლო ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ნიშნავს კი ბატონ შევარდნაძის გადადგომა იმას, რომ საქართველოს, ქრისტიანობის ამ პატარა კუნძულს ისლამის ზღვაში, რომელმაც შეძლო შეენარჩუნებინა თავისთავადობა 1200 წლის განმავლობაში, ახლა შეიძლება ჰქონდეს დემოკრატიული, სტაბილური და აყვავებული მომავლის იმედი? თუ საქართველოს „არავინ შეაწუხებს", ამ კითხვაზე სავსებით შესაძლებელია დადებითი პასუხის გაცემა. ქართველმა ხალხმა, რა თქმა უნდა, ყველას უჩვენა თავისი ენთუზიაზმი დასავლეთ ევროპასთან და შეერთებულ შტატებთან მჭიდრო კავშირურთიერთობის აღდგენის საქმეში. თუმცა, ამის თქმა ადვილია, მაგრამ გაკეთება — საკმაოდ ძნელი.

ჯერ ერთი, ქალბატონმა ბურჯანაძემ და მისმა ახალმა მთავრობამ უნდა მოაგვარონ ურთიერთობა რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან, რომელიც, ნელა, მაგრამ მტკიცედ ახორციელებს ზემოქმედებას საქართველოზე იმ მიზნით, რომ დაუმორჩილოს იგი კრემლის ნებას.

ბატონმა შევარდნაძემ გარკვეული დროით შეძლო შეენელებინა მოსკოვის ზემოქმედება საქართველოზე, როცა დათანხმდა ქვეყანაში რუსეთის ბაზების შენარჩუნებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთისათვის საქართველოს მეზობლად მდებარე კასპიის რეგიონში ნავთობის დიდი მარაგის არსებობისა და ჩეჩნეთში ისლამის სეპარატისტულ ამბოხებულებთან მიმდინარე სისხლისმღვრელი ომის გათვალისწინებით.

მაგრამ შევარდნაძემ პუტინის რისხვა დაიტეხა თავს იმით, რომ ამერიკელთა არმიას დართო ნება ემოქმედა საქართველოს ტერიტორიაზე და მოემზადებინა ანტიტერორისტული ოპერაციებისათვის ქართველი სამხედრო მოსამსახურეები. გარდა ამისა, შევარდნაძემ 15 სექტემბერს განაცხადა, რომ რუსეთის მიერ დაგეგმილი სამხედრო ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი ბოევიკების საყრდენი პუნქტების წინააღმდეგ, სინამდვილეში იყო იმის მცდელობა, რომ მოეხდინათ საქართველოში ვითარების დესტაბილიზაცია და შეემსალათ ხელი დასავლეთის მიმართულებით კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის გამიზნული ახალი დიდი ნავთობსადენის მშენებლობის დასრულებისათვის.

ორშაბათს ქართველი ერისადმი პირველ მიმართვაში ქალბატონმა ბურჯანაძემ განაცხადა, რომ არ გადაუხვევს შევარდნაძის მიერ აღებული პროდასავლური კურსიდან. მან არაორაზროვნად აღნიშნა, რომ სურს საქართველო რაც შეიძლება მალე გახდეს ევროკავშირის და ნატოს წევრი. მაგრამ, ეს მოსკოვს ალბათ დიდად არ გაახარებს, ბატონ პუტინს კი გააჩნია მრავალი ბერკეტი საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციისათვის. ეს იქნება სეპარატისტული აფხაზეთის მხარდაჭერა, რომელიც მხოლოდ რუსეთის მძლავრი სამხედრო დახმარების შედეგად ჩამოშორდა საქართველოს, თუ, საჭიროების შემთხვევაში, ასლან აბაშიძის „აღორძინების" პარტიისათვის მხარდაჭერა. მოსკოვი ეხმარებოდა ასლან აბაშიძეს, საქართველოს ავტონომიური პროვინციის — აჭარის ხელმძღვანელს შევარდნაძის დროს საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნაში. ამჟამინდელი კრიზისის დროსაც ბატონი აბაშიძე სასწრაფოდ გაიქცა მოსკოვში რჩევა-დარიგებების მისაღებად, რაც თბილისში მიიჩნიეს კრემლის მცდელობად მოძებნოს საშუალებები საიმისოდ, რომ ნინო ბურჯანაძეს და მის დემოკრატიულ კოალიციას შეუქმნას ყოველმხრივი დაბრკოლებები საქართველოში ძალაუფლების ხელში აღების საქმეში.

ქალბატონმა ბურჯანაძემ კარგად აიღო სტარტი, მაგრამ მას წინ გრძელი და რთული გზა ელის," — წერს „ვაშინგტონ ტაიმსი".

რუსეთი და ამერიკა სულ უფრო ღრმად ეფლობიან საქართველოს კრიზისში

„რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლნენ საქართველოს პოლიტიკურ კრიზისში, როცა ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გამოაცხადა, რომ მხარს უჭერს საქართველოს „ტერიტორიულ მთლიანობას", ამ დროს კი საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის ლიდერმა აღნიშნა, რომ კონფლიქტი თუ მიიღებს ძალადური მოქმედების ფორმას, იგი სამხედრო დახმარებისათვის მიმართავს რუსეთს", — წერს „ვაშინგტონ ტაიმსი".

ნინო ბურჯანაძემ, რომელიც ამჟამად ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას, აღნიშნა, რომ იგი ტელეფონით ესაუბრა ჯორჯ ბუშს და ამერიკის პრეზიდენტი დაპირდა მას საქართველოში სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში დახმარებას.

ავტონომიური პროვინციის — აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე კი, რომელიც მოსკოვში იმყოფება ვიზიტად, აცხადებს, რომ კრიზისის თავიდან აცილების საკითხში მას აჭარის დედაქალაქ ბათუმში დისლოცირებული რუსეთის ჯარების იმედი აქვს.

ბატონმა აბაშიძემ მოსკოვში გამართა მოლაპარაკება რუსეთის პრემიერ-მინისტრ მიხეილ კასიანოვთან და შეხვდა საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სეპარატისტული პროვინციის — სამხრეთ ოსეთის ლიდერს ედუარდ კოკოითის. გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებას 28 ნოემბერს შეუერთდება საქართველოს კიდევ ერთი სეპარატისტული რეგიონის — აფხაზეთის დელეგაციაც.

აბაშიძემ და კასიანოვმა განიხილეს ერთობლივი ეკონომიკური პროექტები და აჭარის მცხოვრებლებისა და საქართველოს სხვა მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის შემსუბუქების შესაძლებლობა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს სადღეისოდ უკვე შეუძლიათ რუსეთის პასპორტების მიღება.

მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა აღნიშნა, რომ მოსკოვი აბაშიძის რეჟიმს მიიჩნევს საქართველოში „სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად". თუმცა მან იქვე დასძინა, რომ ერთობლივი პროექტები უნდა მოიცავდეს საქართველოს სხვა რეგიონებსაც და არა მარტო აჭარას.

ასლან აბაშიძემ გამოთქვა იმედი, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება ეკონომიკური თანამშრომლობა რუსეთთან. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ მზად არის გამართოს მოლაპარაკება თბილისის ახალ რეჟიმთან და არ სურს გამოაცხადოს აჭარის დამოუკიდებლობა.

მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც, როგორც მოელიან, გაიმარჯვებს 2004 წლის 4 იანვრისათვის დანიშნულ რიგგარეშე პრეზიდენტის არჩევნებში, თავის მხრივ განაცხადა, რომ ედუარდ შევარდნაძის გადადგომამ შესაძლებელი გახადა რუსეთთან არსებული უთანხმოების მოგვარება და ამ ქვეყანასთან „მეგობრული და თბილი ურთიერთობის" დამყარება. „ჩვენ მუდამ აღნიშნავდით, რომ საქართველოსათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ნორმალური ურთიერთობა ჩვენს მეზობლებთან და, უწინარეს ყოვლისა — რუსეთთან", — თქვა სააკაშვილმა უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე.

იგი, აგრეთვე, აცხადებს, რომ მზად არის გამართოს მოლაპარაკება ასლან აბაშიძესთან, თუმცა აღნიშნავს, რომ აჭარა ვერ გამოეყოფა საქართველოს, როგორც ეს 1990-იან წლებში გააკეთეს აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა".

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით
ზაზა ბეჟანიძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

შაბათი 29 ნოემბერი

08.00, 15.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"თავდასხმა"** **09.45** კრიმინალური ქრონიკა **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** თ. ზაალიშვილის საიუბილეო საღამო **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი **"მენავეობებე ქალები"** **16.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.00** საწინდარი **17.30** "ასე ვცხოვრობთ" **18.00** "ვესტნიკი" **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.00, 00.00** მოამბე **20.35** ცაიტნოტი **21.45** პრესეკრანი **22.15** ფორტუნა **22.50** პროფათეული **23.25** ამბობენ **00.15** სერიალი **"ფორსაიტების საგა"** 13-14ს. **01.25** ღამის ჯაზი

19.00 მულტფილმი **19.30** გლობუსი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** მიზანი **21.00** "ჟურნალის ისტორია" შემეც. პროგრამა **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მუსიკალური ოქტაგონი **22.45** მხ. ფილმი **"ფორსაიტების საგა"** 5-6 ს.

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** დათვების ქალაქის ზღაპრები **10.20** სპეცრაზმი **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "ველური სამყაროს ამბები" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი **"განდგომილი"** **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი "თანამე-დროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი **"მაქსი"** **21.00** **კურიერი** P.S. **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** **ფსიქო**. მხ. ფილმი **"მორიელის ნიშნის ქვეშ"**. რეჟ. ძმები ტავიანები. **02.20** მხ.ფილმი **"ლიფტი"**. მთ. რ-ში: ჯეიმ მარშალი, ნაომი ვოდსი.

08.00 ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"ლამაზმანები"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი **"ის იქ არ იყო"** **02.30** მუსიკა

09.00, 13.00, 15.00, 17.00 ქრონიკა **09.15, 11.45, 14.50, 20.50, 01.55** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი **"სიყვარული უდაბნოში"** **10.20** ანიმაციური სერიალი "ჰერკულესი" 1-ლი ნ. **10.45** მხ. ფილმი **"რესტორანი"** **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.40** "თემა" **15.15** მხ. ფილმი **"ბერლინი დიდი ქალაქის სიმფონია"** **17.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს იდუმალი ადგილები" **18.30** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 21.00, 22.00, 01.45** ქრონიკა **19.30** სერიალი **"კლონი"** **20.30** ქართ. სერიალი **"ტოტო მუჯაშის ამბავი"**, **"სახსოვარი"** **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** მულამები **00.05** მხ. ფილმი **"ლოს-ანჯელესური ამბავი"**

პროგრამაში მოსალოდნელია ცვლილებები

09.00 მულტფილმი "ნემო" **10.35** საბ. სერიალი "მაიმუნების მეფე" **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** დეტექტ. სერიალი **"პოლიციელთა ამბები"** **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი **"შტრაუსების დინასტია"** **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. **20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.20** მხ. ფილმი **"გმირი"** **23.10** მხ. ფილმი **"გლადიატორი"**

კვირა 30 ნოემბერი

08.00, 15.00 მოამბე **08.15** სერიალი **"ფორსაიტების საგა"** **09.30** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.00** დილის პაემანი **11.00** ამბები ჩვენზე **11.25** ტვ-ლოტო **12.05** სპა **12.35** მოსკოვი-თბილისი **13.05** ღამის ჯაზი **13.35** მეტრო **14.10** საკვირაო გამოფენა **14.25** არათბილისური ამბები **15.15** სპექტაკლი "ბნელ ოთახში" **16.45** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **16.55** პოლიგრაფისტთა დღი-სადმი მიძღვნილი საღამო **18.00** ტაიმ-აუტი **18.20** ჩემპიონი **18.50** დოკ. სერიალი "ავიაშოუ" **19.00** ტელეზღაპარი **19.15** ჩვენი მისამართია **20.00** ტაიმ-აუტი **21.00** მუს. ოქტაგონი **21.45** საქართველო არის ესე **22.10** ქართ. მხ. ფილმი **"წითელი პაკეფონი"** **00.10** ტაიმ-აუტი **00.30** სერიალი **"ფორსაიტების საგა"** 15-16ს.

19.00 მხიარული კარუსელი **19.30** დიდი დასვენება **20.00** ფრაგმენტები სურათისთვის **20.30** დიზაინი **21.00** დოკ. ფილმი "ორსეს მუზეუმი" მე-2 ნ. **21.50** ვარსკვლავები გვამცნობენ **22.00** მხ. ფილმი **"ფორსაიტების საგა"** 7-8 ს.

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** დათვების ქალაქის ზღაპრები **10.20** სერიალი "სპეცრაზმი" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "ველური სამყაროს ამბები" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** სერიალი **"განდგომილი"** **19.20** მხ. ფილმი **"როგორ მოვიპაროთ მილიონი"** **21.00** კურიერი **21.45** ჩვენი ეზო **22.00** ჯეოსელის ლატარია **23.00** "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ტყვიაგაუმტარი"** 877 45-79-25 ჩოუ იუნ ფატი, შონ უილიამ სკოტი, **"მტერი"** 877 45-79-26 როჯერ მური, ოლივია დაბო, **"მე სემი ვარ"** 877 45-79-27 შონ პენი, მიშელ პფაიფერი. **01.10** მხ.ფილმი **"აპოლო 13"**. მთ. რ-ში: ტომ ჰენკსი, კევინ ბეიკონი.

08.00 ანონსი, მულტფილმი **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი **"ის იქ არ იყო"** **10.15, 21.55, 00.50** მუსიკა **10.20** მულტფილმი **12.30** გადაცემა - მურადა (განმ.) **13.00** მხ. ფილმი **15.00** ქიმერიონი **17.00** ოპერა **19.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"მარტოხელები"** **22.00** ტელე-სინე-ვიდეო **23.00** მხ. ფილმი **"ხასიათი"** **00.50** მუსიკა

09.00 ქრონიკა **09.10, 12.10, 16.45, 19.45, 01.20** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაც. სერიალი "ჰერკულესი" მე-2ნ. **10.45** მხ. ფილმი **"მორჩენება"** **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.00, 15.00, 17.00, 18.45, 00.20** ქრონიკა **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.40** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" მე-2 ს. **14.30** X - კლუზივი **15.00** ქართ. მხ. ფილმი **"მოცურავე"** **17.05** დოკ. სერიალი "ველური ჩვილები" **17.30** სპორტული პროგრამა "ასი" **18.00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **20.00** მხ. ფილმი **"უძილობა"** **22.00** დროება **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

პროგრამაში მოსალოდნელია ცვლილებები

09.00 მულტფილმი "ვინიპუხი" **10.25** საბ. სერიალი "მაიმუნების მეფე" **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** დეტექტ. სერიალი **"პოლიციელთა ამბები"** **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი **"შტრაუსების დინასტია"** **19.00** დეტექტ. სერიალი **"პოლიციელთა ამბები"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.30** მხ. ფილმი **"24 საათი"** **22.20** მხ. ფილმი **"რიგითი რაიანის გადასარჩენად"** **00.20** მზის სერენადა. დეპეშ მოდი.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს კონკურსს სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად თეთრიწყაროს რაიონში თეთრიწყაროს სატყეო მეურნეობის მანგლისის, ბირთვისისა და თეთრიწყაროს სატყეო უბნების ტერიტორიაზე.

გენერალური ლიცენზიის მიღებით დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განცხადებები და საკონკურსო მასალები გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

საკონკურსო მასალებს შეგიძლიათ გაეცნოთ სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტში (თბილისი, კოსტავას 68ა).

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: ტ. 33-48-53.

განცხადება

ქ. თბილისში ყაზბეგის გამზირსა და მიცკევიჩის ქუჩებს შორის არსებული ტერიტორიის განაშენიანებაზე (ბინათმშენებლობა) ინვესტორის გამოვლენის შესახებ

ქ. თბილისის მერიის კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახური აცხადებს კონკურსს მის სარგებლობაში უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემული მიწის ნაკვეთების განაშენიანებაზე (ბინათმშენებლობა) ინვესტორის გამოსავლენად.

1. საკონკურსო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირსა და მიცკევიჩის ქუჩებს შორის. მთლიანი ფართობი – 4840 კვ.მ. მათ შორის:

№ 1 ნაკვეთის ფართი – 1292 კვ.მ.
მოშენების ფართი – 700 კვ.მ
საერთო ფართი – 4000 კვ.მ.

№ 2 ნაკვეთის ფართი – 1292 კვ.მ.
მოშენების ფართი – 700 კვ.მ.
საერთო ფართი – 4000 კვ.მ.

№ 3 ნაკვეთის ფართი – 2256 კვ.მ.
მოშენების ფართი – 1500 კვ.მ.
საერთო ფართი – 6000 კვ.მ.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან სხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებმაც 2003 წლის 15 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები, სათანადო წესით დასაბუთებული ინფორმაცია მათ განკარგულებაში არსებული ინვესტირების უზრუნველყოფის ქონებრივი გარანტიების შესახებ და ტერიტორიის ან ცალკეული ნაკვეთების ათვისების საკონკურსო წინადადება (დალუქულ კონვერტში).

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილია: ქ. თბილისი, მ. კოსტავას I შეს. № 33, კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახური.

4. კონკურსში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. (მიწის ნაკვეთების მიხედვით).

5. კონკურსში გამარჯვებულებთან გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება ინვესტირების პირობების შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება ინვესტორის (მენაშენის) საკონკურსო წინადადება, ტერიტორიის ათვისების შედეგად შექმნილი უძრავი ქონების წილობრივი მონაწილეობით განკარგვის წესი და მხარეთა შორის ურთიერთობათა დარეგულირების სხვა პირობები.

6. კონკურსთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შეიძლება საკონკურსო კომისიაში ზემოაღნიშნულ მისამართზე: ტელ: 92-07-90, 92-07-89, 92-07-86.

საკონკურსო კომისია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს მიერ მომწოდებელთან ა. წ. 30 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებას:

ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი	პროდუქციის დასახელება	საერთო ღირ. ლარებში
№ 01/131; 30.10.03 წ.	პურის ფქვილი I ხარისხის	28 800.

ფირმა „მხელდა" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ არწანისის 3, ბინა 36.

კალათბურთი

სამქულიანის სადიდებელი

... **საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი 71:69 უგებდა თბილისის „მაქაბის". სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში გააქტიურდა კონჯარია და ზუსტი სამქულიანით წელში გატეხა მეტოქე.** მალე მას მხარი მატჩის საუკეთესო მოთამაშემ ვაშაკიძემ აუბა და ტაბლო უკვე 80:71-ს აჩვენებდა ჯამლეტ ხუხაშვილის შეგირდთა სასარგებლოდ. **მართალია, სწორედ დროის ამ მონაკვეთში დატოვა მოედანი მეხუთე პერსონალური შენიშვნის გამო კალათბურთელ ვაჟთა XIII ეროვნული ჩემპიონატის აღნიშნული შეხვედრის პირველი ნახევრის ყველაზე შედეგიანმა მოთამაშემ ნინოშვილმა, მაგრამ მასპინძლებს აღარ გაჭირვებიათ საქმის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა – 89:77 (23:17, 39:38, 63:61).**

ანალოგიური სცენარით მიმდინარეობდა მთელი ბრძოლა. გამარჯვებულთა უპირატესობამ მაქსიმალურ ნიშნულს 60:48-ზე მიაღწია, მაგრამ თითქოს ამას უცდიდაო, ზედიზედ დაბომბა მეტოქის კალათი ზღვისპირელთა ლიდერმა სორდიამ – მან ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო და დუელს ინტერესი დასკვნით – მეოთხე პერიოდამდე შეუნარჩუნა. თუ როგორ დამთავრდა ყველაფერი, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

ყველაზე შედეგიანები: ვაშაკიძე – 26, ნინოშვილი – 21, სუხიშვილი – 17 ქულა („მაქაბი"); სორდია – 29, აბულაძე – 20, ერქვანია – 15 ქულა (სსუ).

გუშინვე თბილისის „დინამომ" წინა ტურში რუსთავში გადატანილი უმძიმესი ბრძოლის შემდეგ ქუთაისელებთან „დაისვენა" – 83:71.

გთავაზობთ დღევანდელი მატჩების კალენდარს: „დინამო" – სტუ (15 საათზე), „მაქაბი" – ქუთაისი (17 საათზე, ვერის ბაღში), რუსთავი – თსუ (18 საათზე, რუსთავში).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ჭიდაობა

მედლები განჯის ხალიჩაზე

ბაისად ევროპის პირად-გუნდური პირველობა გაიმართება თავისუფალ ჭიდაობაში კადეტთა და ახალგაზრდებს შორის, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც იასპარეზებენ. ამ შეჯიბრებისთვის მზადებას მიეძღვნა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც განჯამ (აზერბაიჯანი) უმასპინძლა. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის ჭიდაობის სახეობებში ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი ალეკო გიორგობიანი) გუნდი იცავდა.

სპორტის დამსახურებული ოსტატისა და ცნობილი მწვრთნელის ისახ ალი ოღლი ჯაფაროვის სახელობის ტურნირის ოქროს მედლები ხვდათ ნუკრი ჯელაძეს (74 კგ) და ირაკლი ჩიგოშვილს (96 კგ), ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს შალვა ქუცნიაშვილმა (60 კგ), ალექსანდრე დოჩიამ (85 კგ) და გიორგი ნიკურაძემ (120 კგ). შეჯიბრებისთვის გუნდი საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თენგიზ ღამბაშიძემ და ელგუჯა ქობესაშვილმა მოამზადეს.

შოთა ბოკერია.

ჭადრაკი

ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა

გერმანიის ქალაქ ბადცვიშენში დამთავრდა 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში სინიორინებისა და სინიორების მონაწილეობით.

ქალებში ოქროს მედალი თბილისელმა დიდოსტატმა **თამარ ხმიადაშვილმა** მოიპოვა. ქალბატონმა თამარმა ეს ტიტული მესამედ დაისაკუთრა.

ქართველი მოჭადრაკე მსგავსი შეჯიბრებების ხუთგზის ვერცხლის მედალოსანია.

საგულისხმოა, რომ სინიორების მსოფლიო ჩემპიონს გერმანიაში გასამგზავრებლად გოგი თოფაძე დაეხმარა.

ფეხბურთი

„კობი" უეფას დაემშვიდობა

გელზენკირხენის „შალკე-04"-ისათვის გრძელდება უიღბლო სეზონი. ამჯერად ლევან კობიაშვილის კლუბმა გულშემატკივრები უეფას თასიდან გამოთიშვით გააწბილა, რითაც კიდევ უფრო შეუდგა წყალი გუნდის მწვრთნელ იუპ ჰაინკესს.

გაუწყებთ მეორე ეტაპის საპასუხო მატჩების შედეგებს:

„ბრონდბიუ" – „შალკე" 2:1 (1:2) პენალტებით 3:1;
„ტორპედო" – **„ვილიარეალი"** 1:0 (0:2);
„ლევსკი" – „სლავია" 0:0 (2:2);
„ლანსი" – **„გაზიანთეფი"** 1:3 (0:3);
„გროცლინი" – „მანჩესტერ სიტი" 0:0 (1:1);
„დინამო" (ბუქარესტი) – **„სპარტაკი"** 3:1 (0:4);
„დებრეცენი" – პაოკ 0:0 (1:1);
„ცრვენა ზვეზდა" – **„რუსენბორგი"** 0:1 (0:0);
„დნეპრი" – „დინამო" (ზაგრები) 1:1 (2:0).
„არისი" – **„პერუჯა"** 1:1 (0:2)
პარმა" – „ზალცბურგი" 5:0 (4:0);
„მიოლდე" – **„ბენფიკა"** 0:2 (1:3);
„ტეპლიცე" – „ფეიენოორდი" 1:1 (2:0).
„ვისლა" – **„ვალერენგა"** 0:0 (0:0), პენალტებით 3:4;
„ბარსელონა" – „პანიონიოსი" 2:0 (3:0);
„ჰაიდუკი" – **„რომა"** 1:1 (0:1);
„ოსერი" – „უტრეხტი" 4:0 (0:0);
„ჰართსი" – **„ბორდო"** 0:2 (1:0);
„ნიუკასლი" – „ბაზელი" 1:0 (3:2)
„სპორტინგი" – **„გენჩლერი"** 0:3 (1:1);
„სოშო" – „ბორუსია" 4:0 (2:2);
„ლივერპული" – „სტიაუა" 1:0 (0:2);
„მალიორკა" – **„კოპენჰაგენი"** 1:1 (2:1).

გადაიდო „მაქაბისა" და „ვალენსიას" შეხვედრა (პირველი თამაში – 0:0).



ისტორია

არა, სეულში „პარიკმახერები" არ თამაშობდნენ!

1988 წელს სეულში XXIV ოლიმპიური თამაშების ფინალში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის რიგებში თამაშობდა ჩვენი ცნობილი ფეხბურთელი გელა კეტაშვილი, დაამარცხა ბრაზილიელი ფეხბურთელები ანგარიშით 2:1 და პირველი ადგილი დაისაკუთრა.

ამ ტურნირმა არაერთგვაროვანი შეფასება დაიმსახურა. ბევრი თვლიდა, რომ მან ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი, ზოგი კი პირიქით, ფიქრობდა, რომ იქ სუსტი ნაკრებები თამაშობდნენ. დიდმა მწვრთნელმა განსვენებულმა ვალერი ლობანოვსკიმ ისიც კი თქვა, სეულში ვის უნდა გაეწია წინააღმდეგობა, იქ ხომ მხოლოდ „პარიკმახერები" თამაშობდნენო.

როცა ამ დღეებში მაშინდელი საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების მთავარ მწვრთნელ ანატოლი ბიშოვეცს ეს „დალაქების საკითხი" გაახსენეს, იგი მოთმინებიდან გამოვიდა:

– ჩვენი წარმატება ყველამ როდი აღიარა. თუმცა, სხვების მიღწევების მიჩქმალვა ფეხბურთში ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც შეეხება „პარიკმახერებს"... თუკი იტალიის ნაკრები მთლიანად „მილანისა" და „იუვენტუსის" მოთამაშეებისაგან შედგებოდა, ბრაზილიის ნაკრები კი მსოფლიოს მომავალი – 1994 წლის ჩემპიონებისაგან, რაღა საჭიროა რაიმე საწინააღმდეგოს მტკიცება?

აი, ორივე ფინალისტის შემადგენლობა და დაე, მკითხველმა თვით გამოარჩიოს, ვინ არის „დალაქი" და ვინ არა.

საბჭოთა კავშირი: ხარინი, ლოსევი, გორლუკოვიჩი, კეტაშვილი, იაროვენკო, დობროვოლსკი, მიხაილიჩენკო, ე. კუზნეცოვი, ტატარჩუკი, ნარბეკოვასი (ი. სავიჩევი, 46), ლიუტი, (სკლიაროვი – 116).

ბრაზილია: ტაფარელი, ლუის კარლოსი, ალოისიო, ანდრე კრუზი, ჟორჟინიო, მილტონი, ანდრადე, კარეკა, ბებეტო (ჟოაო პაოლო, 75), რომარიო, ნეტო (ადემირი, 72).

30-ე წუთზე ანგარიში რომარიომ გახსნა, დობროვოლსკიმ 61-ე წუთზე პენალტით აღადგინა წონასწორობა, ხოლო დამატებით დროში, 105-ე წუთზე ი. სავიჩევმა ოლიმპიური ოქრო მოუტანა ჩვენს გუნდს.

ოლიმპიადაზე გამარჯვებისათვის ბიშოვეცმა და მიხაილიჩენკომ „ხალხთა მეგობრობის" ორდენები მიიღეს, ყველა მოთამაშემ – სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება (გარდა მიხაილიჩენკოსი, რომელსაც უკვე ჰქონდა ეს წოდება ევროპის 1988 წლის პირველობაზე მეორე ადგილას მოპოვების შემდეგ).

გარდა ამისა, ყველა მოთამაშემ 6-6 ათასი დოლარი მიიღო, რასაც 12-12 ათასი რუბლიც დაუმატეს. ეს იმ დროსთვის საკმაოდ გულუხვი ფულადი ჯილდო იყო. ბრაზილიელებს ერთმა კერძო ბანკმა აღუთქვა გამარჯვების შემთხვევაში ყველას თითო კილოგრამი ბაჯაღლო ოქრო.

ერთი მხიარული შემთხვევაც: გამარჯვების შემდეგ ფეხბურთელებმა კალათბურთელებთან ერთად (ისინიც ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ) კარგად მოილხინეს. როგორც გუნდის კაპიტანი ვიქტორ ლოსევი იგონებს, ევგენი კუზნეცოვმა მაინც ზომაზე მეტი დალია და სახლში წასაყვანი გახდა. მეორე დღეს ბიშოვეცმა ყველაფერი შეიტყო: „ბიჭებო, დროა, დაამთავრეთ გამარჯვების აღნიშვნა. ხომ ხედავთ, ზოგი თქვენგანი დღემდე.... ბორძიკობს". ევგენი კუზნეცოვმა მას მოსწრებულად უპასუხა: „ჩვენ 32 წელია (მელბურნში გამარჯვების შემდეგ) აღარ წავბორძიკებულვართ, ასე რომ, ეს ერთხელ მაინც გვაპატიეთ".

გივი თორელი.

წყალბურთი

კვლავ ნასესხები ფულით

საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელებს არაერთხელ მოუპოვებიათ რუსეთის ჩემპიონობა სხვადასხვა ასაკში, თუმცა, მთავარი ის არის, რომ ჩვენს სპორტსმენებს ეს შეჯიბრებები გამოცდილების შესაძენად სჭირდებათ. სწორედ, ამ მიზნით ისინი გუშინ კვლავ ჩაებნენ 17 წლამდელთა რუსეთის ღია პირველობაში.

როგორც წყალჯომარდობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ გოგიაშვილმა გვითხრა, ჩვენები ამჯერადაც მშობლების მიერ ნასესხები ფულით გაემგზავრნენ საასპარეზოდ.

პირველობაში 21 გუნდი ჩაება. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ უსახსრობის გამო ყაზანში 15-ის ნაცვლად მხოლოდ 9 წყალბურთელი წაიყვანა. ესენი არიან: თორნიკე თოდაძე, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, ზურაბ რურუა, გიორგი კილურაძე, სანდრო ხვედელიანი, ნუგზარ რამიშვილი, ნოდარ რაფავა, დავით ბილეიშვილი (მსაჯი ირაკლი კიკალიშვილი). თათრეთის დედაქალაქში მათი მეტოქეები იქნებიან ასტრახანის ნაკრები, მოსკოვის „ტორპედო", ვოლგოგრადის „სპარტაკი", ნიჟნი ნოვგოროდის ნაკრები, მოსკოვის „შრომითი რეზერვები" და ყაზანის „სინთეზი". ჯგუფში I-IV ადგილებზე გასული გუნდები რუსეთის პირველობის მეორე ეტაპზე გააგრძელებენ ბრძოლას. იმედია, მათ შორის იქნება საქართველოს ნაკრებიც, რომელიც 4 დეკემბრიდან უკრაინის ეროვნულ ჩემპიონატშიც ჩაებმება.

გიორგი გაგუა.

ყოველი მხრიდან

ორდენოსანი ბექჰემი

გუშინ გაცნობეთ, რომ ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი, ფეხბურთის სამშობლოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექჰემი, რომელიც ახლა ესპანეთის სამეფო კლუბ „რეალში" თამაშობს, მეუღლესთან – მომღერალ ვიქტორიასთან ერთად ლონდონში ჩავიდა, რათა მიეღო ბრიტანეთის იმპერიის უმაღლესი ორდენი და რომ მისი დაჯილდოების ინიციატორი იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი.

ბუკინგემის სასახლეში სახელოვან ფეხბურთელს ორდენი გადასცა დედოფალმა ელისაბედ მეორემ.

როგორც ახლა უკვე „რეალის" ნახევარმცველმა განაცხადა, ეს იყო ყველაზე უკეთესი ჯილდო, რაც მას ოდესმე მიუღია, რისთვისაც მადლობას უხდის ყველა თავის ქომაგს.

„ეს მხოლოდ ჩემი ჯილდო კი არა, „მანჩესტერ იუნაიტედის", ჩემი თანაგუნდელებისა და ჩემი ოჯახის ჯილდოცაა!" – განაცხადა ფეხბურთელმა.

„დევიდ ბექჰემმა, როგორც ინგლისის ნაკრების კაპიტანმა, თავი საუკეთესო თვისებებით გამოიჩინა. ის ჩვენი ელჩია ფეხბურთის მინდორზე და მის საზღვრებს გარეთაც", – ნათქვამია ბრიტანეთის პრემიერის პრეს-სამსახურის განცხადებაში.

სურათზე: დედოფალი ბრიტანეთის იმპერიის ორდენს გადასცემს ფეხბურთის ვარსკვლავს.

მომავალი „ვარსკვლავების" მონაწილეობით

არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში დაიწყო XIV მსოფლიო ჩემპიონატი 20 წლამდე ასაკის ფეხბურთელებისთვის.

ალბათ, ფეხბურთის შედარებით ხანდაზმულ გულშემატკივრებს ახსოვთ, რომ პირველი ასეთი ჩემპიონატი, რომელიც 1977 წელს ტუნისში გაიმართა, დამთავრდა საბჭოთა კავშირის ნაკრების გამარჯვებით.

ახლანდელი ტურნირი 19 დეკემბრამდე გაგრძელდება. მატჩები გაიმართება აბუ-დაბიში, დუბაიში, შარჯას და ალ-აინში. ეს ჩემპიონატი ჯერ კიდევ მაისში უნდა გამართულიყო, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში, ერაყში, საომარი სიტუაციის გამო ის გადაიდო.

ჩემპიონატის ფორმულა თითქმის მთლიანად იმეორებს 1986, 1990 და 1994 წლების მსოფლიო პირველობების სქემას. პირველ ეტაპზე 24 გუნდი დაყოფილია 6 ჯგუფად, რომლებიც ერთ წრედ ითამაშებენ. თითოეული ჯგუფიდან გამარჯვებული პირველი ორი გუნდი, ასევე მესამე ადგილზე გასულებიდან 4 საუკეთესო გადის მერვედფინალში: ევროპის ღირსებას იცავენ ინგლისის, გერმანიის, ირლანდიის, ესპანეთის, სლოვაკეთისა და ჩეხეთის ნაკრებები.

ჩემპიონატზე ითამაშებს ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვისაც უკვე იცნობს საფეხბურთო სამყარო – „რივერ პლეიტისა" და „ბოკა ხუნიორსის" ლიდერები ფერნანდო კავენაგი და კარლოს ტევესი, ბრაზილიის" (კიევის „დინამოში" რომ აპირებს თამაშს), „ბარსელონასა" და „ბავარიის" „მოვარსკვლავეები" ანდრე ინეისტუ და პიოტრ ტრეხოვსკი, 14 წლის აფრიკო-ამერიკელი ვუნდერკინდი ფრედი ადუ და ბევრი სხვა.

ბუნებრივია, ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი კიდევ ბევრ „ვარსკვლავს" აღმოაჩენს.

ბილეთები – ლატარიით

„ნარინჯოვნების", როგორც ჰოლანდიის ნაკრებს უწოდებენ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოხვედრამ დიდად აღაფრთოვანა იქაური გულშემატკივრები. ბევრი მათგანი პორტუგალიაში, თავიანთი სასიქადულო ფეხბურთელების მატჩებზე რომ მოხვდეს, აუცილებლად უნდა იყოს ნაკრების ქომაგთა ოფიციალური კლუბის წევრი, თუმცა მხოლოდ ეს როდია საკმარისი.

ვინაიდან ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს ბილეთების განსაზღვრული რაოდენობა გამოუყვეს, ამიტომ, თუ არგენტინაში გამგზავრების ძალზე ბევრი მოსურნე აღმოჩნდება, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია ბილეთებს სპეციალური ლატარეის საშუალებით გაანაწილებს.

ცინცხალი ამბები

კრიკეტში ერთმეტდღიან ტურნირზე პაკისტანის ქალაქ ლახორში ჩასული ახალი ზელანდიის ნაკრების სპორტსმენებს დაიცავენ კომანდოსის ელიტური ქვედანაყოფის „კბილებამდე" შეიარაღებული მებრძოლები.

კრიკეტი ქვეყანაში ყველაზე პოპულარული სპორტული სახეობა – ახალზელანდიელი სპორტსმენები ბოლო ორ წელიწადში პირველად მონაწილეობენ ტურნირში. შარშან მსგავსი სერია ტერორისტებმა ჩაშალეს. მას 14 ადამიანი შეეწირა.

მატჩები დღეს იწყება ლახორში, შემდეგ კი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც გადაინაცვლებს.



რუსეთელმა პროფესიონალმა მოკრივემ ოლეგ მასკაევმა ზემძიმე ათლეტთა მსოფლიო ათეულში რომ შედის, მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა დიდი ბრიტანეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების ყოფილი ჩემპიონი ჯულიუს ფრენსისი.

სპორტის რედაქცია

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ცოლ-ქმარი სარალიძე კაპიტონ ანტონის ძე, დევიძე მართა მაქსიმეს ასული

გადაღებულია 1899 წ. 21.X.

ფოტო მოგვაწოდა შვილმა მარინა ყუფარაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

ღიმილის დოზა

თუ რაჭაში მანქანით მგზავრობის დროს რაჭველმა გაგასწრო, ესე იგი, შენ საქესთან ჩაგძინებია.

* * *

იმ წყვილის სიყვარულის ამბავი ზუსტად ისე ვითარდება, როგორც რომეოსა და ჯულიეტას რომანი — ორივე მხარის ნათესავები მათ წინააღმდეგ არიან აღმდგარნი... განსაკუთრებით კაპასობს რომეოს ცოლი...“

* * *

— მამა, ტელეწამყვანი ჩვენსკენ ზურგშექცეული რატომ ზის?

— იმიტომ, შვილო, რომ რცხვენია იმისი, რასაც ლაპარაკობს.

* * *

ძროხის მწველავმა ივან გოლოვასტიკოვმა ერთ-ერთ ძროხას დაარქვა ნაომი კემპბელი, და მას შემდეგ უდიდეს სიამოვნებას იღებს მისი წველის პროცესში

* * *

განცხადება: „დაიკარგა საგადასახადო ინსპექციის უფროსის შვილი. განსაკუთრებული ნიშნები: — პოდპოლკოვნიკი“.

* * *

რუსეთში განხორციელდა ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების დარგის მასშტაბური რეფორმა. დღეის ამას იქით უქმდება ყველა კომპანია, და იქმნება სამი ძირითადი ჰოლდინგი: „შსს-ნავთობი“, „პროკურორნავთობი“ და „ფუს-ნავთობი“.

* * *

კაცი დასახვრეტად მიჰყავთ.

— რა დააშავა ასეთი? — კითხულობს გამვლელი.

— განსაკუთრებული არაფერი, უბრალოდ, ორი ერთნაირი აღმოჩნდა.

* * *

ქართული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტის დაწყების წინ რეჟისორი აცხადებს:

— მომღერლების საყურადღებოდ, იყავით ფრთხილად, მესამე მიკროფონი ჩართული იქნება!

მეფუტკრეობა

თაფლის ექსპორტი გაიზრდება

ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან მისდევდა მეფუტკრეობას. მისი პროდუქტებით მარტო სახელმწიფოს საშინაო მოთხოვნილებები კი არ კმაყოფილდებოდა, არამედ აბრეშუმთან, მატყლთან, ღვინოსთან და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებთან ერთად ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაჰქონდათ. ჩვენებური თეთრი, სქელი, უჩვეულოდ გემრიელი თაფლი დიდად მოსწონდათ უცხოელებს.

უკანასკნელ წლებში მეფუტკრეობის განვითარება თვითდინებაზე იყო მიშვებული, რაც ძირითადად მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის ერთობლიობით იყო განპირობებული. აქედან გამომდინარე, მინიმალურია დარგიდან მიღებული ეკონომიკური ეფექტი.

ამჟამად ევროგაერთიანებებთან საქართველოს მისიის აქტიური თანამშრომლობით, მათი მოთხოვნებისა და წესების შესაბამისად, მზადდება სათანადო დოკუმენტაცია საქართველოდან თაფლის ექსპორტის ნებართვის მისაღებად, რაც დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მნიშვნელოვანი სტიმული იქნება დარგის აღორძინებისა და მეფუტკრეთათვის შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით.

პარალელურად, ასევე FAO-ს ეგიდით, იწყება ამ დარგის რეგიონული (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი) პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოები. ამ მიზნით საქართველოში იმყოფება FAO-ს ექსპერტი, რომელთანაც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო დარგის სპეციალისტებთან და ექსპერტებთან ერთად მუშაობს განსახორციელებელი გეგმის შედგენაზე, რაც ევროსტანდარტების შესაბამისი ხარისხის კონტროლის მინი რეპროდუქტორის (დედა ფუტკრის გამოყვანის მიზნით) ჩამოყალიბებას და ფუტკრის პროდუქტების ახალი სტანდარტების შექმნას გულისხმობს.

ნაზი იმნაიშვილი.

კორწილია, კორწილი!

მობილურით „გაკონტროლებული“ შეყვარებული

სოფიკო და ბექა ქუთათელაძეები.

მძახლებს, მერი და სევერიან ხვედელიძეებს, სოფელ ბეკამში ხელის სათხოვნელად მისულმა ნანა და ავთანდილ ქუთათელაძეებმა მადლობა გადაუხადეს ასეთი ზრდილობიანი, ტრადიციების მოყვარული ქალიშვილის აღზრდისათვის!...

ყველა ქალმა იცის — რას ნიშნავს დამნახავ-დამფასებელი დედამთილ-მამამთილი ოჯახში, ამიტომაც უფრო ბედნიერად თვლის თავს 22 წლის სოფიკო ხვედელიძე მოსიყვარულე მეუღლის ბექა ქუთათელაძის გვერდით.

... სამი წელიწადი ურეკში გაცნობილ და მოწონებულ პატარა გოგონას „გაზრდას“ ელოდა ბექა. მართალია, საცოლშვილოდ დიდი ხანია მზად იყო, თანაც უმცროსი და ეკა ეჩხუბებოდა კიდეც — დროა ცოლი შეირთოო, მაგრამ არ უჩქარია. შეყვარებულებს „თავისი ცხოვრება“ უნდა მოეწყოთ.

— სამი შვილიდან ბექა უფროსი ვაჟია. ქალიშვილიდან ორი შვილიშვილი მყავს, ბიჭები, მაგრამ გვარის გამგრძელებელი ხომ გვინდა! 32 წლის ასაკში როგორც იქნა გადაწყვიტა და შესანიშნავ გოგონაზე დაოჯახდა.

ბედნიერი ვარ! სოფიკო სამედიცინო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ონკოლოგიურში, საოპერაციო ექთნად მუშაობს. ბექამ ჯერ ტექნიკუმი, მშენებლობის განხრით, შემდეგ თსუ მეორადი ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით დაამთავრა, — ბრძანა დედამთილმა.

თვით ბექამ გულღია ღიმილით „თეზისებით ჩამოგვიყალიბა რომანტიკული მოვლენები“: მობილურით „ვაკონტროლებდი“ შეყვარებულს; მე და ჩემმა ბიძაშვილმა ერთდროულად დავიწერეთ ჯვარი მეთბილისში, იმან, — დასავლეთ საქართველოში... იმ დღესვე ჩავედით ლანჩხუთში, შევუერთდით მეჯორწინეებს, „გადავინაცვლეთ“ აჭარაში, მჟავანაძეებთან, ბათუმელ ნეფესთან, იქაც გავაგრძელეთ... მოვიარეთ აქეთური-იქეთური... ახალმა ნათესავებმა, ბიძაშვილ-მამიდაშვილებმა ერთმანეთი გაიცანით, პური გავტეხეთ და ტრადიციული მოყვრობა „გავაჩაღეთ“. იმედია, ღმერთი კეთილად გადმოგვხედავს. ვაჟიანობას ვისურვებთ!

დღეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სოფიკო და ბექა ქუთათელაძეები ოფიციალურად ცოლ-ქმრად ცხადდებიან.

ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს ახალ ქართულ ოჯახებს.

ია კალანდარიშვილი.

თაობა მოდის...

გიორგი ბარამიძეს მინისტრობა არ სურს

მიმდინარე წლის 16 ნოემბერს ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში გაიმართა 20 წლამდე ასაკის რეჟისორთა ერთწუთიანი ვიდეოფილმების საერთაშორისო ფესტივალი, რომელზეც **მთავარი პრიზი** მოიპოვა თბილისის **ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მე-10 კლასის მოსწავლემ გიორგი ბარამიძემ.** გამარჯვებულებს დიპლომები და პრიზები გადასცა გამოჩენილმა სერბმა რეჟისორმა ემირ კუსტურიცამ, მაგრამ ამ ცერემონიალს არ დასწრებია ფესტივალის მთავარი გმირი — გიორგი ბარამიძე და თუ რატომ, მასთან საუბრიდან შეიტყობთ.

— გიორგი, მგონი, ეს შენთან პირველი ინტერვიუა და, ალბათ, ღელავ.

— ცოტათი, მართლაც ვღელავ... თუმცა, მე თვითონ ინტერვიუც ამიღია, ტელე და რადიოგადაცემაც წამიყვანია.

— მაშინ წარმოგვიდგინე შენი თავი.

— დავიბადე 1988 წელს პოეტისა და ჟურნალისტის ილია ბარამიძის ოჯახში. ვარ უცოლშვილო, ასაკის გამო. ვსწავლობ ხელოვნების გიმნაზიის თეატრალურ განყოფილებაზე. ვთამაშობდი კალათბურთს მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო სკოლასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიყვარს მუსიკა, თეატრი, კინო და ერთი ჩემი ტოლი გოგონა. აი, სულ ეს არის.

— ეგ არაფერი, ყველაფერს მოესწრები. ახლა მითხარი, სად სწავლობდი კინორეჟისურას?

— სამი წელი ვმეცადინეობდი საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდთან არსებულ სტუდია „ეი-დი-სი“-ში, რომლის ხელმძღვანელებიც ქალბატონები გუნა და მაია ბიბილეიშვილები არიან, სადაც რეჟისურას, სცენარების წერას, მსახიობის ხელოვნებას, ჟურნალისტიკასა და კომპიუტერს მასწავლიდნენ. იქვე ჩავერთე გაეროს კამპანიაში „არც ერთი ბავშვი უყურადღებოდ“ და ამავე სახელწოდების ერთწუთიანი მხატვრული ფილმის გადაღების სურვილი გამიჩნდა. ქალბატონებმა გუნამ და მაიამ მხარი დამიჭირეს და გაეროს ბავშვთა ფონდმა („იუნისეფი“) საერთაშორისო ფესტივალზე გასაგზავნად ჩემი ფილმიც შეარჩია, რამდენადაც ვიცი, ამ ფესტივალში ევრაზიის 30 ქვეყნის 100 ფილმი იყო წარდგენილი და გამარჯვების იმედი არ მქონდა, მაგრამ მოულოდნელად ამსტერდამიდან მაცნობეს ჩემი ფილმის 12 ფილმთან ერთად ფინალში გასვლის შესახებ და მიწვევა მივიღე. ახლახან მოვიდა შეტყობინება, რომ ჩემს ფილმს გაუმარჯვნია და მთავარი პრიზი მიუღია.

— ამბობ, მიუღიაო, რატომ თვითონ არ დაესწარი შენი ფილმის გამარჯვებას, უსახსრობამ შეგიშალა ხელი?

— ჩემთვის უსახსრობაც არ არის უცხო ხილი, თუმცა, ამჯერად, ჩემსა და ჩემი თანმხლები პირის (მე ხომ უწლოვანი ვარ) ამსტერდამში ჩასვლის ყოველგვარ ხარჯებს გაერო აფინანსებდა, მაგრამ ფესტივალის ფინალი ხომ 16 ნოემბერს ჩატარდა და მიწვევა ორი დღით ადრე მივიღეთ. ბევრს ეცადნენ მამაჩემი და ჩემი ხელმძღვანელი, სასწრაფოდ გამიფორმეს საბუთები, მაგრამ მათი მიტანა საფრანგეთის საელჩოში (სამწუხაროდ, ნიდერლანდების საელჩო არ გვქონია) სულ ერთი საათით დაგვიგვიანდა და თვითმფრინავი ამსტერდამისკენ უჩემოდ გაფრინდა.

— გიორგი, რას წარმოადგენს ერთწუთიანი მხატვრული ფილმი და ძნელია მისი გადაღება?

— ერთწუთიანი მხატვრული ფილმი, როგორც ხელოვნების ჟანრი, კლიპებისა არ იყოს, სწრაფად იკიდებს ფეხს. ამ ფილმის სცენარიც მე დავწერე, მაგრამ გადაღების პროცესში, რომელიც კოლექტიური იყო, ცვლილებები განიცადა. აქ დუბლების გადაღება, ფილმის სიპატარავის გამო, დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. პრობლემა ისაა, რომ ერთ წუთში უნდა ჩატიო კინონოველა, რომელსაც დამაჯერებელი სიუჟეტი, ქვეტექსტი, ლოგიკური დასასრული და შემეცნებითი, სააგიტაციო ან სარეკლამო ხასიათი უნდა ჰქონდეს.

— თუ საიდუმლო არ არის, რას ელი ჰოლანდიიდან?

— როგორც შევიტყვე, მალე გამომიგზავნიან გამარჯვებულის დიპლომს და პრიზს — პროფესიონალურ ვიდეოკამერას, რომელზეც მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრება (იცინის) ვოცნებობდი და მერე, ალბათ, მოზრდილ ფილმებსა და კლიპებსაც შევეჭიდები.

— გიორგი, ამ დღეებში შენი სეხნია — გიორგი ბარამიძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. თუ იცნობ და ხომ არ შენატრი მის ბედს?

— ვულოცავ, თუმცა მას, მე კი არა, მამაჩემიც არ იცნობს. თუ მოვიხელთე, ერთწუთიან ფილმს მაინც გადავიღებ მასზე, რაც შეეხება შენატრებას, დღევანდელ საქართველოში მინისტრობა რა შესანატრია.

ესაუბრა **მზია ათაბეგაშვილი.**

სურათზე: გიორგი ბარამიძე.

დედაქალაქი

ახალი ავტობუსები ხაზებზე გავიდა

პავლოვოს ქარხნიდან მიღებული „პაზის“ ტიპის ახალი ავტობუსები ხაზებზე გავიდა.

როგორც „ინტერ-პრესს“ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ოთარ ჭიპაშვილმა განუცხადა, აეროპორტისა და მაღლივი კორპუსის მიმართულებით ავტობუსები უკვე რამდენიმე დღეა, მოძრაობს.

აეროპორტი — რკინიგზის სადგურის ხაზისთვის სამსახურს 10 ავტობუსი აქვს გათვალისწინებული, ხოლო გლდანი — მაღლივი კორპუსის მიმართულებისთვის — 8. გარდა ამისა, 4 ავტობუსი დიდი დიღმისა და ვაშლიჯვრის სამარშრუტო ხაზებისთვის სარეზერვოდ არის გათვალისწინებული.

„პაზის“ ტიპის 22 ახალი ავტობუსი ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა პავლოვოს ქარხნიდან ოქტომბრის ბოლოს მიიღო.

გარდა ამისა, საახალწლოდ დედაქალაქში კიდევ ერთი განახლებული ტროლეიბუსი გამოჩნდება. „შკოდას“ ტიპის მოძველებული ტროლეიბუსი განსაახლებლად ტროლეიბუსების დეპოში უკვე შევიდა. გამოიცვლება ყველა მოძველებული და უვარგისი დეტალი.

როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, სავარაუდოდ, აღნიშნული ტროლეიბუსის რესტავრაცია 20 ათასი ლარი დაჯდება, თუმცა როდის მიიღებენ ამ თანხას სამსახურში, ჯერჯერობით უცნობია.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა „შკოდას“ ტიპის ორი ტროლეიბუსი უკვე განაახლა და ისინი №9 და №11 მარშრუტებზე მოძრაობენ. დაფინანსების შემთხვევაში სამსახურს გადაწყვეტილი აქვს, მთლიანად განაახლოს ტროლეიბუსების პარკი.

ინტერ-პრესი.

გამოიცა

უჯრის ოცდაათწლიანი „პატიმარი“

ცნობილი მკვლევარი-მექანიკოსი, პროფესორი ალექსი გორგიძე დიდი ნიკო მუსხელიშვილის მიერ დაარსებული, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული მეცნიერული სკოლის ღირსეული წარმომადგენელია. ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დაფუძნებისა და ჩამოყალიბების უშუალო მონაწილე (დირექტორის, ნიკო მუსხელიშვილის მოადგილე 1940-1952 წლებში), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბების შემდეგ მისი პრეზიდენტის თანაშემწე (იმავე 1940-1952 წლებში), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის) თეორიული მექანიკის კათედრის გამგე 50-ზე მეტი წლის განმავლობაში... დავუმატოთ ამ შთამბეჭდავ ნუსხას არანაკლებ შთამბეჭდავი შტრიხები — რომ ბატონი ალექსი გასული საუკუნის ათეულობით წლების მანძილზე აქტიური მონაწილე იყო ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ყველა სამეცნიერო პროცესისა და მოვლენისა, რომ საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებებს ატარებდა. აი, ასეთი ავტორი გამოჩნდა გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტის“ მიერ დასტამბული წიგნაკის „საქართველოში მექანიკის განვითარების ისტორიისათვის“ ყდაზე.

1979 წლის იანვარში თბილისში გაიმართა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების თეორიული მექანიკის კათედრების გამგეების თათბირ-სემინარი. ამ ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო გამოჩენილი რუსი მექანიკოსი, აკადემიკოსი ალექსანდრე იშლინსკი, მისი მოადგილე — პროფესორი ალექსი გორგიძე. სწორედ თათბირ-სემინარზე ბატონი ალექსი გამოვიდა მოხსენებით, რომლის ტექსტი განსვენებული პროფესორის პირად არქივში აღმოჩნდა. მოხსენება თავის დროზე არ გამოქვეყნებულა, თუმცა ის ძალზე საინტერესო ინფორმაციის შემცველია. თამაზ ბაციკაძემ, დავით გორგიძემ და რაულ ჩაგუნავამ ტექსტი აღადგინეს და წიგნაკად გამოსცეს.

ნაშრომი საქართველოში მექანიკის ისტორიის არაერთი საკითხის სრულად გაშუქების პირველ ცდას წარმოადგენს.

მექანიკის, როგორც მეცნიერული დარგის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში ნიკო მუსხელიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. მასვე ეკუთვნის პირველი ქართული სახელმძღვანელოები თეორიულ მექანიკაში „სტატიკა“ და „კინემატიკა“, ალექსი გორგიძის წიგნაკში გადმოცემულია აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის — მათემატიკოსისა და მექანიკოსის მეცნიერული ბიოგრაფია, ისევე, როგორც მდიდარი ინფორმაცია მისი მოწაფეებისა და თანამშრომლების შალვა მიქელაძის, ვიქტორ კუპრაძის, ილია ვეკუას, ანდრო ბიწაძის, დავით დოლიძის, ლევან და ნინო მაღნარაძეების, აგრეთვე, მომდევნო თაობების წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი წვლილის თაობაზე თეორიული და გამოყენებითი მექანიკის პრობლემების გადაჭრაში.

ცალკეა მოთხრობილი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში თეორიული მექანიკისა და საქართველოში შექმნილი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოების შესახებ.

ყურადღებას იპყრობს ქართველ კოლეგებთან შესანიშნავი რუსეთელი მექანიკოსებისა და მათემატიკოსების — ა. კრილოვის, ვ. სმირნოვის, ს. სობოლევის, ლ. კანტოროვიჩის, ს. ხრისტიანოვიჩის, ს. მიხლინის, გ. გალუშინისა და სხვათა მრავალწლიანი ნაყოფიერი კონტაქტების ანალიზი.

წიგნაკის 18 გვერდზე ალექსი გორგიძის საოჯახო ალბომიდან ამოკრეფილი იშვიათი ფოტოსურათებია განთავსებული. რად ღირს თუნდაც სურათი, რომელზეც ერთად არიან აღბეჭდილი გიორგი ნიკოლაძე, ანდრია რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი და მათი პირველი მოწაფეები გრიგოლ ხაჯალია, დარეჯან ვაშაკიძე, ალექსი გორგიძე, ალექსანდრე ბარკალაია და იასონ მეცხვარიშვილი, ან ფოტოგრაფია სამი პრეზიდენტით — ნიკო მუსხელიშვილი მსტისლავ კელდიში და ვიქტორ ამბარცუმიანი (შესაბამისად საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელები).... წიგნაკის სამი გამომცემლიდან ერთი — დავით გორგიძე ბატონი ალექსის უმცროსი ვაჟია. ამ საქმის გაკეთებით მან შვილის ვალიც მოიხადა ღირსეული მშობლის ხსოვნის წინაშე, თანაც ხელნაწერი უჯრის ოცდაათწლიანი „ტყვეობიდან“ დაიხსნა...

თამაზ ეგანოიძე.

სურათზე: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი მსტისლავ კელდიში, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვიქტორ ამბარცუმიანი.

ინფორმაცია

ლექცია პროვინციაში

ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს პროგრამის „საერთაშორისო განათლება“ ეგიდით დედოფლისწყაროს წმინდა ნინოს სახელობის ახალ სკოლას (დირექტორი ლალი მანგოშვილი) ამ დღეებში ამერიკიდან ჯიმ თომპსონი ესტუმრა. მან თითქმის ორი კვირის განმავლობაში სკოლის მოსწავლეებს ლექციების კურსი წაუკითხა.

ნანა ქიქინაძე,
„სრ“ საკ. კორ.

„ჰუმანას“ პროდუქციის რეალიზაცია აღდგა

საქართველოში ბავშვთა საკვების მწარმოებელი გერმანული ფირმა „ჰუმანას“ პროდუქციის რეალიზაცია აღდგა.

როგორც „ინტერ-პრესს“ სანიტარიული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში განუცხადეს, ეს გადაწყვეტილება საქართველოს სავაჭრო ქსელში გერმანული პროდუქციის ტოტალური შემოწმების შედეგად, მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც გაირკვა, რომ შემოწმებული პროდუქტი სრულად შეესაბამებოდა ჰიგიენურ და სხვა ნორმებს.

ერთი კვირის განმავლობაში „ჰუმანას“ პროდუქციის რეალიზაცია შეჩერებული იყო და მას ლაბორატორიული შემოწმება უტარდებოდა.

რეტროსპექტივა განახლდება

გოეთეს ინსტიტუტში დეკემბრიდან რეჟისორ ირაკლი კვირიკაძის ფილმ „მოცურავეს“ და ალექსანდრე რეხვიაშვილის „საფეხურის“ ჩვენება მოეწყობა.

როგორც „ინტერ-პრესს“ გოეთეს ინსტიტუტში განუცხადეს, ამ ფილმების ჩვენებით 70-იან წლებში მოღვაწე ცნობილი ქართველი რეჟისორების ფილმების რეტროსპექტივა განახლდება, რომლის ფარგლებშიც 6 ფილმის ჩვენება უკვე შედგა.

რეტროსპექტივა დროებით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო იყო შეწყვეტილი, 1 დეკემბერს კი განახლდება.

ინტერ-პრესი.

ხსოვნა

იური ჩიკვაიძე

ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა — 27 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოს-ანჯელესში გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, ცნობილი სცენოგრაფი, კინოს მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი, მხატვარი-მონუმენტალისტი **იური ჩიკვაიძე.**

იგი დაიბადა 1934 წელს თბილისში. 1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი. ამავე წელს თანაკურსელებთან ალექსანდრე სლოვინსკისთან და ოლეგ ქოჩაკიძესთან ერთად შექმნა ჯგუფი „სამეული“, რომელმაც არსებობის სამი ათეული წლის მანძილზე დიდი როლი ითამაშა საქართველოს სამხატვრო ცხოვრებაში, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის აღმავლობაში. ჯგუფს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის თანამედროვე ქართული სცენოგრაფიის განვითარებაში, მისი მხატვრული ენის განახლებაში. მათი თამამი ძიებანი, ორიგინალური მიგნებები დიდ როლს თამაშობდა გამოჩენილ ქართველ რეჟისორებთან ერთად შექმნილი მრავალი სპექტაკლის (გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ (1963), ა. მილერის „სეილემის პროცესი“ (1965), უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ (1970), სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ (1972), ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბა“ (1981), უ. შექსპირის „ოტელო“ (1983), მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ (1974) და სხვა მრავალი დადგმის წარმატებაში, რომლებიც განხორციელდა რუსთაველის, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრებში, აგრეთვე, საქართველოს და საზღვარგარეთის სხვა თეატრებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მოღვაწეობა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, რომლის მთავარი მხატვრები ისინი მრავალი წლის განმავლობაში იყვნენ. „სამეული“ მრავალი მხატვრული ფილმის და მულტფილმის დამდგმელ მხატვრებად, ზოგჯერ სცენარის ავტორებად და რეჟისორებადაც გვევლინებოდნენ. დიდია „სამეულის“ და კონკრეტულად იური ჩიკვაიძის როლი ქართული გრაფიკის საინტერესო ნიმუშების შექმნაში. მათ მიერ დასურათებულია მსოფლიო კლასიკის და ფოლკლორის არაერთი ნაწარმოები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მათი წვლილი ქართულ სახვით შექსპირიანაში. სამეულის მიერ განხორციელებულია არქიტექტურული და მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნების მრავალი საინტერესო პროექტი.

„სამეულის“ სცენოგრაფიამ მრავალჯერ დაიმსახურა წლის საუკეთესო თეატრალური ნამუშევრის ჯილდო.

მოღვაწეობის პერიოდში იური ჩიკვაიძემ მრავალი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი შექმნა. გამორჩეული ორიგინალური ხედვით და ოსტატობით.

საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენების გამო მხატვარი იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო. ამერიკის შეერთებულ შტატებში ლოს-ანჯელესში იგი კვლავ აგრძელებდა შემოქმედებით მუშაობას, მაგრამ აკლდა ის ხალისი, ნაპერწკალი, რომელიც ასე თვალსაჩინოდ გამოარჩევდა მის ნამუშევრებს. ყველა, ვინც შეხვედრია მას ბოლო წლებში, ამჩნევდა ნოსტალგიას, სამშობლოს მონატრების გამძაფრებულ გრძნობას. სამწუხაროდ, ბედმა არ არგუნა მხატვარს სამშობლოში დაბრუნება... 27 ნოემბერს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა...

„სამეულმა“, იური ჩიკვაიძემ მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ თეატრალურ მხატვრობაში. ქართული ხელოვნების მოყვარულები არასოდეს დაივიწყებენ მის ღვაწლს, ქართული თეატრალური მხატვრობის, სახვითი ხელოვნების სხვა დარგების შემოქმედებითი პოტენციალის წარმოჩენაში. არ დაივიწყებენ მას კოლეგები, განსაკუთრებით „სამეულის“ წევრები, ყველა, ვინც იცნობდა ნიჭიერ, თავისებურ შემოქმედს. ყველას დარჩება ღრმა სინანული სამშობლოდან გადახვეწილი, ნიჭიერი მხატვრის ტრაგიკული ბედის გამო.

საქართველოს კულტურის სამინისტრო;
საქართველოს მხატვართა კავშირი;
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

არმაზ სანებლიძე, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, ალეკო ასლანიშვილი, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი თანაუგრძნობენ გივი და ნოდარ ჭითანავებს მეუღლისა და რძლის

ნანული შენგელიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა და კოლექტივი თანაუგრძნობს სამმართველოს თანამშრომელს დევი ჭელიძეს მამის

აკაკი ჭელიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნუგზარ და ვიკა სულავები თანაგრძნობას უცხადებენ რომან კიზირიას სიძის

გივი ქურდოვანიძის

გარდაცვალების გამო.

და თამარ მამისეიშვილი, დისშვილები ოთარ, თემურ, ლეილა შენგელიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურამ (ლემური) მამისეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

დაკრძალვა კვირას 30 XI, 2 სთ. წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსს ტატაჩი ალანიას მამიდის

ანტისა ალანია-ჩიტაიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომპანია „ქართული ტელეფილმის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კომპანიის მთავარ ბუღალტერს ქალბატონ ლეილა ჭრელაშვილ-გალოგრეს დედის

თამარ ახვლედიანი-ჭრელაშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.